# სარბიელი

სპორტული გაზეთი ჰარასკევი 24 მარტი 2000 №54 (1076) ფასი 50 თეთრი

3

## ფედერაციამ სახელმწიფო გაისტუმრა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საგადასახადოს 275 ათასი ლარი გაუსტუმრა და საურავის მატება შეაჩერა

6

## ყვავწითელი VS ყვავთეთრი

დღეს „სან სიროზე“: „მილანი“ — „იუვენტუსი“

7 ევროპის გატაცება 1964 10

## ფეხბურთი, პოლიტიკა და ფული



ევროპის 1964 წლის თასის გათამაშება საკმაოდ პოლიტიზებული იყო, ოთხი წლის მერე კი ბევრი რამ აგდებულმა მონეტამ გადაწყვიტა



16

## ოქროს ლიგა ოქროს საბადოა

IAAF GOLDEN LEAGUE

მძლეოსნებს თავის წონა ოქროს ჰპირდებიან

UEFA CUP

# არაფერი განსაკუთრებული



ლანსი — სელტა 2:1. პენალტით ანგარიშის გამთანაბრებელმა ლანსელმა ვალერიან ისმაელმა ესპანელთა მეკარეს ხოსე მანუელ პინტოს ბურთის კარიდან გამოტანაც არ დაანება

უეფას თასის მეოთხედფინალს ლოგიკური წერტილი დაესვა. „არსენალზე“, „ლიდსზე“ და „გალათასარაიზე“ გუშინდლამდეც ამბობდნენ, ცალი ფეხი ნახევარფინალში უდგათო. წუხელ ეს ოფიციალურადაც გაფორმდა. ფრანგულმა „ლანსმა“ კი პირველ მატჩამდე ფავორიტად შერაცხული, „ბენფიკასა“ და „იუვენტუსის“ მძლეველი ესპანური „სელტა“ ჩამოაშორა ტურნირს. დღეს ეს ოთხეული ნახევარფინალურ წილისყრას ელის.

უეფას თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩების შედეგები იხილეთ მეორე გვერდზე

# მიხეილ აშვეთიას საქმე პარლამენტში გაირჩევა

## ფეხბურთელის მამამ სიმართლის დასადგენად ელენე თევდორაძეს მიმართა

ქართულ ფეხბურთში მორიგი, ამჯერად კრიმინალური სკანდალი მწიფდება. დინამოელი მიხეილ აშვეთიას მამა, ალეკო აშვეთია პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარესთან, ელენე თევდორაძესთან შეხვედრას ითხოვს. არ არის გამორიცხული, საქმეში შსს-ს საგამომძიებლო დეპარტამენტი ჩაერიოს და ვლადიკავკაზურ „ალანიაში“ გაგზავნილ ფაქსზე „დინამოს“ დირექტორატის წევრის, რომან შოთაძის ფაქსიმილეს გაყალბება უარყოს ან დაადასტუროს.

ხსენებული დოკუმენტი იანვრის დასაწყისში გაიგზავნა. „ალანიაში“ გადაბარგების მოსურნე აშვეთიას ყოფილი კლუბი გუნდიდან დაუკითხავად წასვლაში ადანაშაულებდა. „დინამომ“ ფეხბურთელი დისკვალიფიკაციით დასაჯა და მისი ტრანსფერის იურიდიულად გაფორმება არ მოხდებაო — დაახლოებით ამგვარი შინაარსის ფაქსი გაეგზავნა ოსურ კლუბს რომან შოთაძის ხელმოწერით.

არადა, ვლადიკავკაზის „ალანიამ“ „დისკვალიფიცირებული“ აშვეთიას სანაცვლოდ თანხის გარკვეული ნაწილი „დინამოს“ უკვე გადაუხადა.

მაშ, რა ხდება? საიდან გაჩნდა ტრანსფერის შემაფერხებელი ფაქსი, რომელზე დაყრდნობითაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია „დინამოსა“ და „ალანიას“ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებაზე დასტურს არ იძლევა.

„დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ რატიანი და კლუბის გენერალური მდივანი ვაჟა ჟვანია ცალსახად აცხადებენ — აშვეთიას დისკვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი შეთითხნილია და რომან შოთაძის ფაქსიმილეც გაყალბებულიო.

იხილეთ მესამე გვერდი

## უეფას თასი: მეოთხედფინალი
მეორე წრე. 23 მარტი

UEFA CUP

### სლავია (ჩეხეთი) 2:1 *ლიდსი (ინგლისი)* (0:3)
0:1 კიუელი (47), 1:1, 2:1 ულიხი (52, 79პ)
სლავია: ჩერნი, კოზელი, ლ. დოშეკი, ულიხი, დოშტალეკი (ლერხი 58), სკალა, პისკი, კოლერი, ტ. დოშეკი (რ. ვაგნერი 58), კუჩარი (ვოზაბალი 85), ზელენკა
მწვრთნელი: ფრანტიშეკ კიპრო
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰაალანდი, რადებე, ჰარტი, ვუდგეიტი, მაკფაილი, ბაკე, კიუელი, ბრიჯისი (ა. სმიტი 50), ჯონსი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მსაჯი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)
13 460 მაყურებელი

### ვერდერი (გერმანია) 2:4 *არსენალი (ინგლისი)* (0:2)
0:1, 0:2 პარლოუ (8, 25), 1:2 ბოდე (41), 1:3 ანრი (59), 2:3 ბოგდანოვიჩი (60), 2:4 პარლოუ (70)
ვერდერი: ფ. როსტი, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ტრარესი (ბოგდანოვიჩი 46), ვიდნერი, ფრინგსი, აილტსი, ა. ჰერცოგი, ბოდე, პიზარო, აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, ადამსი (პეტი 63), ლუჟნი, სილვინიო, ლიუნგბერგი, ვიეირა (უინტერბერნი 77), პარლოუ, გრიმანდი, კანუ (ოვერმარსი 71), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაძევება: ანრი (64)
მსაჯი: კიმ მილტონ-ნილსენი (დანია)
31 400 მაყურებელი

### *გალათასარაი (თურქეთი)* 2:1 მალიორკა (ესპანეთი) (4:1)
1:0 კაპონე (31), 2:0 ჰაქან შუქური (47), 2:1 კარლოსი (63)
გალათასარაი: ტაფარელი, კაპონე, ბიულენთი, ერგუნი, ოკანი (მეჰმეთი 77), აჰმეთი, ჰაჯი, ფათიჰი, ჰასან სასი, არიფი (ჰაქან უნსალი 66), ჰაქან შუქური (მარსიო სანტოსი 85)
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
მალიორკა: ლეო ფრანკო, არმანდო, სერისუელა, სივიერო, კარერასი, ნადალი, ნოვო (ი. სტანკოვიჩი 70), იბაგასა (ჯოკაი 70), ანტონიო რუისი, რობლესი, კარლოსი (დიეგო ტრისტანი 64)
მწვრთნელი: მარიო გომესი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
30 000 მაყურებელი

### *ლანსი (საფრანგეთი)* 2:1 სელტა (ესპანეთი) (0:0)
0:1 რევივო (57), 1:1 ისმაელი (63პ), 2:1 ნუმა (73)
ლანსი: ვარმუზი, პიერ-ფანფანი, ისმაელი, კუენდრუ, კოლი, ნიარკო, ბლანშარი, ბრუნელი, დაკურტი, სახო, ნუმა
მწვრთნელები: ფრანსუა ბრისონი, დიდიე სენაკი
სელტა: პინტო, კასერესი, სერხიო, ხუანფრანი, მაკელელე, ჯოვანელა, ველასკო, გუსტავო ლოპესი (ჰუგენდორპი 75), კარპინი, რევივო, ბენი მაკკარტი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
მსაჯი: პოლ დარკინი (ინგლისი)
41 649 მაყურებელი

REUTERS ბრემენიდან



ვერდერი — არსენალი 2:4. ლონდონელთა ოთხი გოლიდან სამის გამტან რეი პარლოუს ხვევნა-კოცნა არ დაჰკლებია


LEVON TRAVEL

ლევონ თრეველი გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასწრებას

- გაატარეთ 6 დაუვიწყარი დღე პარიზში, 20-26 მაისს.
- ცხოვრება სამვარსკვლავიან სასტუმროში საუზმით, ექსკურსია პარიზსა და მის შემოგარენში.
- ავია და მატჩზე დასასწრები ბილეთები, დახვედრა-გაცილება.
- საგზურის ღირებულება 1190 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 29 მარტი.

ადგილები შეზღუდულია

მის: ჭავჭავაძის გამ. 20, ტელ. 25 00 10/25 00 60, მობ. 8 99 53 78 45

CHAMPIONS LEAGUE


## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** გაზეთის „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, მადრიდის „რეალი“ „რომას“ ნახევარმცველის, ფრანჩესკო ტოტის გადაბირებას ცდილობს და მას ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობს. თითოეული სეზონის სავარაუდო ღირებულება 5 მილიონი დოლარია. 24 წლის ფეხბურთელს რომაულ კლუბთან ხელშეკრულება 2003 წლამდე აკავშირებს. იგი დედაქალაქელ ქომაგთა ერთ-ერთი საყვარელი მოთამაშეა. საინტერესოა, დატოვებს თუ არა ტოტი რომს. მისი გადაბირება ადრე „მილანს“ და „იუვენტუსსაც“ სურდათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

**ინგლისელმა** ნახევარმცველმა ჯო კოულმა „ვესტ ჰემთან“ მიმდინარე კონტრაქტი გაახანგრძლივა, იგი ლონდონში 2004 წლამდე დარჩება. ახალგაზრდა კოულზე ინგლისელები დიდ იმედებს ამყარებენ, არ არის გამორიცხული, ახლო მომავალში კევინ კიგანმა იგი ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახოს. თუმცა ევროპის ჩემპიონატზე ფეხბურთელის თამაში საეჭვოა, კოული ინგლისის ნაკრებს, ალბათ, მსოფლიოს პირველობის შესარჩევი ციკლიდან დაეხმარება. 21-წლამდელთა ნაკრებში მან ერთი შეხვედრა ჩაატარა. „ვესტ ჰემმა“ სეზონის ბოლომდე ფორვარდი ფრედერიკ კანო ითხოვა. „ლიონის“ ფეხბურთელი შარშან ზაფხულში 7 მილიონ გირვანქად შეაფასეს, მაგრამ მაშინ მისი ყიდვა არავინ ისურვა.

**ფრანგმა** მცველმა ლილიან ტურამმა კლუბთან კონტრაქტი გააახანგრძლივა, „პარმაში“ იგი 2005 წლამდე დარჩება. მსოფლიოს ჩემპიონის შეძენას რამდენიმე წამყვანი იტალიური კლუბი, მათ შორის, „ინტერი“ ცდილობდა. მილანელებმა პარმელებს შარშან 16 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ „პარმამ“ ტურამი არ გაყიდა. ამ დღეებში ახალი შეთანხმება გააფორმა არგენტინელმა თავდამსხმელმა ერნან კრესპომაც. ტურამის მსგავსად, მანაც „პარმაში“ დარჩენა გადაწყვიტა.

**იაპონელი** ჰიდეტოში ნაკატა აზიის წლის საუკეთესო ფეხბურთელის კანდიდატთა შორის მოხვდა. პრეტენდენტთა ოფიციალური სია კუალა ლუმპურში გამოაქვეყნეს. მასაჰი ნაკაიამა „ჯუბილო ივატადან“, ალი დაეი ბერლინის „ჰერტადან“, J-ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ჩრდილოეთკორეელი ჰვანგ სუნ-ჰონგი და ქუვეითელი მაშარ აბდულა საპატიო ჯილდოს მოპოვებას შეეცდებიან. კანდიდატთა შორის მანდილოსანიცაა — სუნ ვენი, რომელიც ფიფამ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელა.

**ინგლისური** საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, „მილანის“ ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ფრანკო ბარეზიმ შესაძლოა პრემიერლიგის ერთ-ერთ კლუბს უთავკაცოს. იუწყებიან, რომ შაბათს „ჩელსისა“ და „ვესტ ჰემის“ მატჩის ცქერისას იტალიელმა სწორედ ამ საკითხის თაობაზე გააკეთა კომენტარი.

**გერმანიის** ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილმა და ამჟამად „კაიზერსლაუტერნის“ ფეხბურთელმა მარიო ბასლერმა უახლოეს მომავალში შესაძლოა ახალ პროფესიას მოჰკიდოს ხელი. მან გადაწყვიტა, ერთ-ერთი პოპულარული რადიოს, SWR3-ის დისკ-ჟოკეი გახდეს. გერმანული პრესა გვატყობინებს, რომ ბასლერი კურორტ ბადენ ბადენში ჩასვლასა და ახალი სამუშაოს დაწყებას აპირებს. საინტერესოა, როგორ შეუთავსებს იგი ამ საქმიანობას ფეხბურთელობას.

**დანიელი** ნახევარმცველი ალან ნილსენი „ტოტენჰემმა“ ინგლისის პირველდივიზიონელ „ვულვერჰემპტონში“ გაანათხოვრა სეზონის ბოლომდე. „ვულვერჰემპტონი“ ვარჩიე, რადგან ვთვლი, რომ საკმაოდ კარგი და ამბიციური გუნდია“ — თქვა ნილსენმა, ფეხბურთელმა, რომელიც „ტოტენჰემის“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო დანიის ნაკრების თავკაცმა ბო იოჰანსონმა ნილსენი 29 მარტს პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში არ გამოიძახა.

**ბერძნულ** პაოკ-ში მოთამაშე ჰონდურასელი ფორვარდი მილტონ ნუნიესი შესაძლოა „სანდერლენდში“ გადაბარგდეს. თუმცა ტრანსფერი ერთობ გართულდა. ინგლისური კანონების მიხედვით, ფეხბურთელს, რომელსაც პრემიერლიგაში თამაში სურს, თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში გარკვეული რაოდენობის მატჩები უნდა ჰქონდეს ჩატარებული. ნუნიესი კი დასაშვებ ზღვარს ვერ მიუახლოვდა.

**ისრაელი.** 29-ე ტური. ჰაპოელი (ჰაიფა) — ბნეი იეჰუდა 5:0; ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:3; მაკაბი (ჰაიფა) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 6:0; ბეითარი — მაკაბი (ნეთანია) 2:3; აშდოდი — ჰაპოელი (ქვარ სავა) 1:1; მაკაბი (თელ ავივი) — ირონი 5:1; მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) — მაკაბი (ჰერცლია) 0:1. ჩემპიონატს 64 ქულით თელ ავივის „ჰაპოელი“ ლიდერობს, მეორე ადგილზეა ჰაიფას „მაკაბი“ — 62 ქულა, მესამეა ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი“ — 60 ქულა. თასის მეოთხედფინალი. *ჰაპოელი (ქვარ სავა)* — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) 1:1 (პენ. 3:2); *მაკაბი (ჰაიფა)* — ბეითარი (თელ ავივი) (II) 4:0; მაკაბი (ნეთანია) — *ბეითარი (იერუსალიმი)* 3:3 (პენ. 8:9); ჰაპოელი (ბეერშევა) (II) — *ჰაპოელი (თელ ავივი)* 0:2.

**იუგოსლავია.** 29-ე ტური. პროლეტერი — ჰაიდუკი (კულა) 1:0; ჰაიდუკი (ბელგრადი) — ობილიჩი 0:3; ჩუკარიჩკი — მოგრენი 1:0; პარტიზანი — სარტიდი 4:0; სუტიესკა — მილიციონარი 2:0; რადნიჩკი (ნიში) — ბორაცი 4:1; სპარტაკი — ცრვენა ზვეზდა 0:2; რადნიჩკი (კრაგუევაჩი) — ჟელეზნიკი 0:0; ოფკ (ბელგრადი) — ზემუნი 1:1; რადი — ბუდუჩნოსტი 1:0. 30-ე ტური. ბუდუჩნოსტი — ოფკ (ბელგრადი) 3:1; ზემუნი — რადნიჩკი (კრაგუევაჩი) 2:0; ჟელეზნიკი — სპარტაკი 3:0; ცრვენა ზვეზდა — რადნიჩკი (ნიში) 1:0; ბორაცი — სუტიესკა 0:2; მილიციონარი — პარტიზანი 0:1; სარტიდი — ჩუკარიჩკი 1:1; მოგრენი — ჰაიდუკი (ბელგრადი) 3:0; ობილიჩი — პროლეტერი 3:1; ჰაიდუკი (კულა) — ვოივოდინა 1:1. ჩემპიონატს ბელგრადული კლუბები ლიდერობენ, „პარტიზანი“ — 75 ქულა, „ობილიჩი“ — 73 ქულა, „ცრვენა ზვეზდა“ — 72 ქულა.

**ხორვატია.** 23-ე ტური. დინამო — ვარტექსი 0:1; ზაგრები — ისტრა 4:1; ჰაიდუკი — სლავენი 0:0; ოსიეკი — დრაგოვოლიაცი 4:2; ციბალია — შიბენიკი 4:2; რიეკა — ვუკოვარი 0:0. ჩემპიონატს 51 ქულით ზაგრების „დინამო“ ლიდერობს, მეორე ადგილზეა სპლიტის „ჰაიდუკი“ — 48 ქულა, მესამეა „ოსიეკი“ — 40 ქულა.

**კვიპროსი.** მე-20 ტური. ანართოსისი — ეთნიკოსი (აშნა) 3:1; ომონია — ნეა სალამინა 1:1; აპოლონი — აპოელი 2:1; აპოპი — ოლიმპიაკოსი 2:0; აეკ — აელი 3:2; ანაგენისისი — ენოსისი 0:3; ეთნიკოსი (აშა) — ალკი 3:0. ჩემპიონატს 58 ქულით ფამაგუსტას „ანართოსისი“ ლიდერობს, მეორე ადგილზეა ნიქოზიის „ომონია“ — 45 ქულა, მესამეა „აპოელი“ — 36 ქულა.

**სლოვენია.** მე-20 ტური. მურსკა სობოტა — რუსე 2:0; პრევალიე — ბელტინჩი 2:1; დომზალე — ოლიმპია 2:0; აიდოვშინა — ცელიე 2:2; მარიბორი — დრავოგრადი 2:0; ველენიე — ნოვა გორიცა 3:0. 21-ე ტური. დრავოგრადი — აიდოვშინა 0:0; ცელიე — დომზალე 3:0; ნოვა გორიცა — პრევალიე 2:0; ბელტინჩი — რუსე 1:0; მარიბორი — მურსკა სობოტა 3:1; ოლიმპია — ველენიე 1:2. ჩემპიონატს 47 ქულით „მარიბორი“ ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებს 39-39 ქულით „ველენიე“ და „ნოვა გორიცა“ იყოფენ.

**რუსეთის** თასის მეოთხედფინალის წილისყრა: სპარტაკი — სატურნი; მეტალურგი (ლიპეცკი) (II) — ლოკომოტივი; ანჟი — ცსკა; ურალანი — დინამო. მატჩები გაიმართება 4 და 12 აპრილს.

**ბულგარეთის** თასის მეოთხედფინალი. I მატჩები. შუმენი — ჩერნომორეცი 5:1; ნეფტოხიმიკი — ბოტევი 3:0; ლოკომოტივი (სოფია) — ველბაჟდი 3:1; ცსკა — ლევსკი 0:1.

## ამხანაგური მატჩი
29 მარტი

**შვედეთი — ავსტრია**

ავსტრიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

მეკარეები: ფრანც ვოლფარტი (შტუტგარტი, გერმანია), ფრანც ალმერი (გრაცერი);

მცველები: ერნსტ დოსპელი (აუსტრია), მიხაელ ჰაცი, გიუნტერ შხესვალდი (ორივე რაპიდი), გიუნტერ ნოიკირხნერი (შტურმი), ტომას ვინკლჰოფერი (ზალცბურგი);

ნახევარმცველები: მარტინ ამერჰაუზერი (გრაცერი), ჰარალდ ჩერნი (მიუნხენ 1860, გერმანია), ტომას ფლოგელი (ჰართსი, შოტლანდია), ანდრეას ჰერცოგი (ვერდერი, გერმანია), რონალდ კირხლერი (ტიროლი), იურგენ ლეიტნერი (აუსტრია), ჟილბერტ პრილასნიგი (შტურმი);

თავდამსხმელები: მარკუს შუპი (შტურმი), მარკუს ვაისენბერგერი (არმინია, გერმანია), ედუარდ გლიდერი (ტიროლი), კრისტიან მაირლები (აუსტრია), ივიცა ვასტიჩი (შტურმი)

## ამხანაგური მატჩი
29 მარტი

**საბერძნეთი — რუმინეთი**

რუმინეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

მეკარეები: ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ლობონტი (აიაქსი, ჰოლანდია);

მცველები: დან პეტრესკუ (ჩელსი, ინგლისი), კოსმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ლივიუ ჩებოტარიუ (სტანდარდი, ბელგია), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი), ვალი ნასტასე (დინამო), პომპილიუ სტოიჩა (ასტრა);

ნახევარმცველები: ფლორენტინ პეტრე, კატალინ ჰილდანი (ორივე დინამო), გეორგე ჰაჯი (გალათასარაი, თურქეთი), კონსტანტინ გალკა (ესპანიოლი, ესპანეთი), ლაურენტიუ როსუ (სტიაუა), დორინელ მუნტეანუ (ვოლფსბურგი, გერმანია);

თავდამსხმელები: ვიორელ მოლდოვანი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), იონელ განეა (შტუტგარტი, გერმანია), ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი), ადრიან მუტუ (ინტერი, იტალია).

## რუსეთი

ჩემპიონატის დაწყებასთან დაკავშირებით, რომელიც დღეს „ლოკომოტივი“ — ცსკა-ს მატჩით გაიხსნება, შეგახსენებთ შარშანდელი გათამაშების საბოლოო ცხრილს. უმაღლესი დივიზიონი „ჟემჩუჟინამ“ და „შინიკმა“ დატოვეს. მათ ნაცვლად მახაჩყალის „ანჟი“ და ვორონეჟის „ფაკელი“ იასპარეზებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 30 | 22 | 6 | 2 | 75:24 | 72 |
| ლოკომოტივი | 30 | 20 | 5 | 5 | 62:30 | 65 |
| ცსკა | 30 | 15 | 10 | 5 | 56:29 | 55 |
| ტორპედო | 30 | 13 | 11 | 6 | 38:33 | 50 |
| დინამო | 30 | 12 | 8 | 10 | 44:41 | 44 |
| ალანია | 30 | 12 | 7 | 11 | 54:45 | 43 |
| როსტსელმაში | 30 | 11 | 8 | 11 | 32:37 | 41 |
| ზენიტი | 30 | 9 | 12 | 9 | 36:34 | 39 |
| ურალანი | 30 | 10 | 6 | 14 | 27:34 | 36 |
| სატურნი | 30 | 8 | 10 | 12 | 30:38 | 34 |
| ნ. ნოვგოროდი | 30 | 9 | 6 | 15 | 33:48 | 33 |
| კრილია | 30 | 8 | 7 | 15 | 39:49 | 31 |
| როტორი | 30 | 7 | 10 | 13 | 36:51 | 31 |
| ჩერნომორეცი | 30 | 7 | 8 | 15 | 30:49 | 29 |
| ჟემჩუჟინა | 30 | 5 | 11 | 14 | 29:55 | 26 |
| შინიკი | 30 | 5 | 9 | 16 | 21:45 | 24 |

# აშვეთიას საქმე პარლამენტში გაირჩევა

## ფეხბურთელის მამამ სიმართლის დასადგენად ელენე თევდორაძეს მიმართა

დასაწყისი პირველ გვერდზე

ქუთაისელი მიხეილ აშვეთიას მამა სიმართლის დადგენის მიზნით რამდენიმე დღეა, თბილისში იმყოფება. სფფ-ში უშედეგო სტუმრობის მერე, გუშინ იგი დილმის საწვრთნელ ბაზაზე მივიდა და „დინამოს" ხელმძღვანელობას დახმარება სთხოვა. შუადღისას ალეკო აშვეთიას ინიციატივით ბაზაზე პრესკონფერენცია მოეწყო. თავიდან სიტყვა „დინამოს" პრეზიდენტმა ითხოვა.

*მერაბ რატიანი:* მინდა იცოდეთ, რომ დღევანდელი შეხვედრა ფეხბურთელის მამის, ბატონი ალეკოს თხოვნით შედგა. იგი ჩვენთან მობრძანდა და გვკითხა — რა ხდება, „დინამო" ჩემს შვილს თამაშის უფლებას რატომ არ აძლევსო? ჩვენ განვუმარტეთ, რომ მიხეილ აშვეთია განთავისუფლებული გვყავს. მას კლუბის არანაირი დავალიანება არ აქვს და შეუძლია „ალანიაში" გადასვლა.

დანარჩენს თავად ბატონი ალეკო იტყვის. მას სურს, ხალხს გააგებინოს თავისი გულისტკივილი, ის, თუ რა ხდება სინამდვილეში.

*ალეკო აშვეთია:* ბავშვმა დამირეკა, რაშია საქმე, სფფ არ იძლევა ტრანსფერზე ნებართვასო? მივედი ფედერაციაში და ჟორდანიამ არ მიმიღო. მასთან შეხვედრაზე დაცვამ უარი მითხრა. 60 წლის კაცი ვარ, ძალით ხომ არ შევიდოდი... ბოლოს მაინც მოვკარი თვალი და მივაძახე, შვილს რატომ მიჩაგრავთ-მეთქი! ხელით მანიშნა, არ მივცემ უფლებასო.

ვალერი ჩოლარიასთან მივედი. შოთაძის ხელმოწერიანი ფურცელი მაჩვენა. „დინამომ" აშვეთია დისკვალიფიკაციით დასაჯა და ჩვენც ამის გამო ვართ უარზეო — მითხრა ჩოლარიამ.

„დინამომ" წერილით აცნობა სფფ-ს, აშვეთია არ დაგვისჯიაო, მაგრამ არაფერი შეცვლილა. დავიღალე... ჯანმრთელობაც შელახული მაქვს და ამდენ სირბილსა და ნერვიულობას ვერ ავიტან.

ელენე თევდორაძეს უნდა შევხვდე. ადამიანის უფლებები აშკარად ირღვევა და ისიც ჩაერევა ამ საქმეში. თუ პარლამენტამდე მივაღწიე, მე ვიცი, რასაც გავაკეთებ.

ბავშვი მირეკავს, ერთი დოლარი დამრჩა, არ ვიცი, ამის შემდეგ როგორ დაგიკავშირდებიო. დავამშვიდე. ნუ გეშინია, ყველაფერს მოვაგვარებ-მეთქი, მაგრამ...

*მერაბ რატიანი:* ბატონი ალეკოს გულისტკივილი მესმის, მაგრამ „დინამოს" რაც შეეძლო, გააკეთა. ეტყობა, თავს ზემოთ ძალა არ არის. დროც აღარ დარჩა, ხვალ რუსეთში ჩემპიონატი იწყება.

*ვაჟა ჟვანია:* მერაბ ჟორდანია ჩემი ბავშვობის მეგობარია. არ მინდა, ეს ამბავი კონფლიქტში გადაიზარდოს. ლაპარაკია საერთაშორისო ტრანსფერზე და ვთხოვ ფედერაციას, ფიფასა და უეფას კანონები დაიცვას. სფფ-ს უფლება არ აქვს, ტრანსფერი არ გააფორმოს, თუ ფეხბურთელს ყოფილი კლუბი უპრობლემოდ ათავისუფლებს.

21 იანვარს რუსეთმა მოთხოვნა გამოაგზავნა ამ კონტრაქტის თაობაზე. გუშინწინ გავიდა 60 დღე. თუ სფფ არ გასცემს ტრანსფერს, მაშინ რუსეთის საფეხბურთო კავშირს, ფიფას და უეფას წესებით შეუძლიათ, გააფორმონ დროებითი ხელშეკრულება. მერწმუნეთ, ეს ასეც მოხდება და აშვეთია „ალანიაში" მაინც ითამაშებს. მერე კი ფიფა და უეფა ჩაერევა და სიმართლეც დადგინდება.

*— რა მიზეზია ასეთი, აშვეთიას რომ არ უშვებენ?*

*ვაჟა ჟვანია:* თურმე შოთაძის ხელმოწერით გაიგზავნა წერილი, რომ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია აქვს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. გაირკვა, რომ შოთაძეს იმ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია და მისი ფაქსიმილე ვალაცამ გააყალბა. თუ ვინ, ამას გამოძიება დაადგენს.

*მერაბ რატიანი:* ბატონმა ალეკომ ყველაფერი თქვა, რისი თქმაც სურდა. ჩვენ არ გვინდა სიტუაციის გამძაფრება და გვჯერა, რომ ყველაფერი დადებითად გადაწყდება. კიდევ არის მცირე დრო დარჩენილი საქმის გამოსასწორებლად და იმედია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოიჩენს კეთილ ნებას.

*ვაჟა ჟვანია:* თუ სფფ იურიდიულად არ გააფორმებს ამ ტრანსფერს, ეს იქნება მისი მესვეურთა მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენება და „დინამოსთვის" კიდევ ერთი პრობლემის ხელოვნურად თავს მოხვევა.

პრესკონფერენცია მალე დასრულდა. ალეკო აშვეთია იქიდან პარლამენტში წავიდა. ფეხბურთელი შვილის უფლებების შელახვით აღშფოთებული მამა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისგან მოელის შველას. მას წუხელ დავუკავშირდით და გვითხრა, ელენე თევდორაძეს დილით უნდა შევხვდეო.

ამასაც მოესწრო ქართული ფეხბურთი...

**ხვიჩა სანიძიძე**



რომან შოთაძე

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

# რომან შოთაძე: აშვეთია მე დავსაჯე!

ისევ აშვეთიას ტრანსფერის საქმეზე. სკანდალის სუნი მძაფრდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და თბილისის „დინამოს" შორის დაპირისპირება აშკარაა.

თბილისის „დინამოს" ამჟამინდელი პრეზიდენტი მერაბ რატიანი ამბობს, მიხეილ აშვეთია, როგორც წესი და რიგი იყო, კლუბიდან ისე გავათავისუფლეთ და მის სანაცვლოდ „ალანიასგან" გარკვეული რაოდენობის თანხა მივიღეთო.

ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გვითხრა, მიხეილ აშვეთიამ „დინამოსთან" კონტრაქტი დაარღვია და კლუბის მაშინდელ პრეზიდენტ რომან შოთაძის დაუკითხავად „ალანიას" მიაშურა, რისთვისაც „დინამომ" იგი დასაჯა და სეზონის გასრულებამდე დისკვალიფიკაცია მისცა. საქმის კურსში „ალანიაც" იყო, რომან შოთაძის ხელმოწერილი ფაქსი ვლადიკავკაზურ კლუბს 3 იანვარს გაეგზავნაო.

თბილისის „დინამო" და მიხეილ აშვეთიას მამა ფედერაციას ამტყუნებენ, უფლება არ გაქვთ, ფეხბურთელს ხელი შეუშალოთ, უცხოურ კლუბში გადავიდესო. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ისიც თქვეს, აშვეთიას დისკვალიფიკაციის დოკუმენტზე შოთაძის ხელმოწერა ყალბიაო.

თავად რომან შოთაძე სრულიად საპირისპიროს აცხადებს — დოკუმენტზე ჩემი ხელმოწერააო. „დინამოს" პრეზიდენტობის მოვალეობის მაშინდელმა შემსრულებელმა მიხეილ აშვეთიას დისკვალიფიკაცია ასე აგვიხსნა:

— უცხოეთში ვიყავი და თბილისში რომ დავბრუნდი, მითხრეს, აშვეთია ვლადიკავკაზის „ალანიაში" წავიდაო. ამის თაობაზე მანამდე არაფერი ვიცოდი, ფეხბურთელი თბილისში დავტოვე და ჩემს უკითხავად, თვითნებურად კლუბი მიატოვა. 3 იანვარს ავდექი და „ალანიას" მივწერე, ეგ ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულია-მეთქი.

„ალანიაში" და ნებისმიერ სხვა გუნდში მისი გადასვლის წინააღმდეგი ვიყავი: ჯერ ერთი და უმთავრესი, ისევ „დინამოს" ინტერესებიდან გამომდინარე, გუნდი წამყვანი თავდამსხმელისა და ბომბარდირის გარეშე რჩებოდა, მეორეც, მისი „ალანიაში" ტრანსფერი „დინამოსთვის" ფინანსურად წამგებიანი იყო, აშვეთიას სანაცვლოდ შემოსული თანხა ჩვენთვის ვერაფერი შეღავათი იქნებოდა. იგი „ტორპედოდან" რომ გადმოვიბირეთ, ქუთაისელებს მაშინ საკმაოდ დიდი ფული გადავუხადეთ. სწორედ ამიტომ ვეწინააღმდეგებოდი აშვეთიას „დიდნამოდან" წასვლას.

რომან შოთაძემ ერთხელაც გაიმეორა — აშვეთიას დისკვალიფიკაციის დოკუმენტზე ჩემი ხელმოწერაა, პრეზიდენტის მოვალეობას მე ვასრულებდი. რას იტყვით?

ისე, საინტერესოა, თუ „ალანიამ" აშვეთიას დისკვალიფიკაციის თაობაზე ფაქსი 3 იანვარს მიიღო, საქმე აქამდე რად გაჭიანურდა, რად გადაიხადეს ვლადიკავკაზელებმა დასჯილი ფეხბურთელის სანაცვლოდ ფული?

**ქოგა ინასარიძე**



ირაკლი [illegible] ფოტო

„დინამოს" პრეზიდენტი მერაბ რატიანი, მიხეილ აშვეთიას მამა, ბატონი ალეკო და ვიცეპრეზიდენტი ვაჟა ჟვანია

# ნემსაძე ჩინებულია

## ჰიბერნიანი მოლაპარაკებას იწყებს

შოტლანდიურ „ჰიბერნიანში" ორჯერ ნავარჯიშევმა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ ოთხშაბათს ამ კლუბის ახალგაზრდულ შემადგენლობაში „კილმარნოკის" წინააღმდეგ 40 წუთი ითამაშა. მერე, რაკი მსუბუქად დაშავდა, „ჰიბერნიანის" მწვრთნელმა გართულების თავიდან ასაცილებლად შეცვალა. ნემსაძემ კი 40 წუთშიც მოასწრო გუნდის თავკაც ალექს მაკლიშისთვის თავის მოწონება.

„მის თამაშს კარგად დავაკვირდი და დავრწმუნდი, კარგი, შეიძლება ითქვას, ჩინებული ფეხბურთელია. ჩვენ მზად ვართ მასთან კონტრაქტის პირობებზე მოსალაპარაკებლად" — განაცხადა მაკლიშმა ახალგაზრდების მატჩის შემდეგ.

გიორგი ნემსაძე თავისუფალი აგენტია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ჰიბერნიანს" გადასახდელი არცერთი გუნდისთვის ექნება. ნემსაძემ „რეჯანასთან" კონტრაქტი გარკვეული გარიგების შემდეგ თავადვე გამოისყიდა.

**ქოგა ინასარიძე**

# ფედერაციამ სახელმწიფო გაისტუმრა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ ქვეყნის ბიუჯეტში 275 ათასი ლარი ჩარიცხა და ძველი ფედერაციისგან გადაყოლილი საგადასახადო ვალი მთლიანად გაისტუმრა, თუმცა საურავის სახით დაახლოებით 300 ათასი ლარი კიდევ დარჩა. „მთავარია, რომ საგადასახადო გავისტუმრეთ და საურავი აღარ გვერიცხება" — განგვიცხადა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ, თან დაამატა, მალე იმ, დროთა განმავლობაში დარიცხულ 300 ათასამდე ლარსაც გავისტუმრებთო.

275 ათასთან ერთად ფედერაციას 2000 წლის გადასახადებიც გადაუხდია. რას ერჩით...

**ქოგა ინასარიძე**

# ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები

## ფეხბურთელის ბედი საქართველოში

*„მე შორიდან მოვედი... ეს კარგად ვიცი... ჯერ კიდევ ბევრი გზა მაქვს გასავლელი და გავივლი კიდეც, თუნდაც ფორთხვით დამჭირდეს სიარული".*

*ჯეკ ლონდონი. „მარტინ იდენი".*

კიევის „დინამო" — „ბაიერნი". მატჩის 72-ე წუთი მამედოვის აუტი, გუსინის თავური და დემეტრაძის უკუდარტყმა (მაკრატელა არც კი). და გოლი, გოლი, გოლი! გიორგი დემეტრაძის პირველი გოლი ჩემპიონთა ლიგაში.

ჰოდა, რაო, სასწაული მოხდა? სხვებს არ გაუტანიათ? პირველია? ვინძლო არც უკანასკნელი იყოს... მაგრამ... უბრალოდ, სასიხარულოა, ჩემპიონთა ლიგის მესამე არასრული შეხვედრა და გოლი.

გიორგი დემეტრაძე ერთ-ერთი წარმომადგენელია იმ დასტისა, თანამედროვე ქართველი ფეხბურთელები რომ ქმნიან. სრულიად ჩვეულებრივი წარმომადგენელი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ „ფეიენოორდშიც" კი ითამაშა ერთხანს, მხოლოდ რუსული ფეხბურთის ვარსკვლავობა „გაქაჩა".

ჯერჯერობით მხოლოდ რუსული ფეხბურთისა.

მაგრამ პერსპექტივა ჩანს. ლობანოვსკიმ ფული გადაიხადა და ახლა, როცა საქმე მუსიკაზე მიდგა, აკვრევინებს, იმგვარად და ისეთს, როგორიც თავად სურს.

ზემოთ გოლზე და სიხარულზე ვთქვი და აღსანიშნავი, იცით, რა არის? დემეტრაძე კიევის „დინამოს" საზომებით სწორ და საჭირო ფეხბურთს თამაშობს. არა, მას არ დავიწყებია საჯარიმოში არტისტულად დავარდნა, „ფაფხური" (როგორც ერთ დროს მისმა მეხოტბე „სპორტ ექსპრესმა მონათლა), თამაშგარეშიც ძველებურად ხვდება, მაგრამ...

დემეტრაძე კიევის „დინამოს" მოერგო და იგი მინდორზე უაღრესად სასარგებლო ფორვარდია. ამას ნურავინ ჩათვლის გადამეტებულ ქებად. საუბარია დემეს „სასარგებლოობაზე" და არა „უკვე შემდგარ ვარსკვლავობაზე". ევრო დონის ვარსკვლავობამდე გიორგის ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, მაგრამ ლობანოვსკიმ მას „რებროვისშემდგომი „დინამოს"იმედი უწოდა" და ეს გვაიმედებს — დემეტრაძის „გაკეთება" უკვე ლობანოვსკისა და დროის საკითხია.

მწვრთნელისა და დროის

### სხვებიც

ჯანაშია, ჯაკობია, კალაძე, კობიაშვილი... ეს ის ქართველი ფეხბურთელებია, ვინც უცებ გამახსენდა. მათ კი იმიტომ გამოვყოფ სხვათაგან, რომ აქ, ჩვენს ფეხბურთში, სულ სხვანი იყვნენ, „იქ" კი სრულიად განსხვავებულნი გახდნენ.

ვინ იყო ზაზა ჯანაშია? უაღრესად ნიჭიერი, იმედისმომცემი, ფეთქებადი ხასიათის ფორვადი, რომელსაც შეეძლო, ვარჯიში გაეცდინა და უბნელებთან ორი გოლი გაეჩალებინა, ანაც მატჩზე მიმავალს სადღაც ჩხუბი აეტეხა.

ვინ არის ზაზა ჯანაშია? მოსკოვის „ლოკომოტივის" და, ალბათ, ევროპული ფეხბურთის ვარსკვლავიც. იქნებ მავანმა იდაოს, მაგრამ თასთა თასის ბომბარდირობა და მისი დაახლოებითი სატრანსფერო ფასი ყველაფერზე მეტყველებს. იგი დარჩა ფეთქებად, იმპულსურ პიროვნებად, მაგრამ მინდორზე შეუცვლელია და ერთ-ერთი გამორჩეული, „მეორე ანუ მუშა" ფორვარდი. ზაზა სამი კაცის სამუშაოს ასრულებს მინდორზე — ეს მარტო მე არ მითქვამს.

ვინ იყო ლაშა ჯაკობია? ნიჭიერი, მომავლის მქონე ბიჭუნა. ასეთები საკმაოდ მოიძებნებიან ჩვენში, მაგრამ, აბა, დავითვალოთ, რამდენმა მათგანმა მოახერხა კარიერის სწორად წარმართვა?

ვინ არის ლაშა ჯაკობია? თითქმის ჩამოყალიბებული ფეხბურთელი, რომელსაც გამოცდილება და სათამაშო პრაქტიკა აკლია, რათა ბელგიის მეორეადგილოსნის ფორვარდის ჭაპანი სწიოს. ამასთან იგი კარგა ხანია, თავისი თაობის ლიდერია (ჩვენში).

კახა კალაძე... ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ იქცა კახა თბილისის „დინამოს" „პერსონალშჩიკიდან" ლობანოვსკისეულ „უნივერსალამდე" — მარჯვნივ, ცენტრში, მარცხნივ, საყრდენად... ისიც სათქმელია, რომ რებროვის შემდეგ ყველაზე მეტი გოლი მას უნდა ჰქონდეს გატანილი ამჟამინდელ კიევის დინამოელებს შორის ჩემპიონთა ლიგაში. მისით დაინტერესებულია „მილანი", რამდენიმე ინგლისური კლუბი, სატრანსფერო თანხა 15 და მეტი მილიონი დოლარია.

ვინ იყო ლევან კობიაშვილი? „ავაზელი" წყნარი მარცხენა მცველი, „დინამოს" რიგითი ფეხბურთელი, რომელიც „ალანიაში" გადავიდა და „აღმოჩნდა", რომ მშვენივრად შესძლებია საყრდენ ნახევარმცველად, თავდამსხმელების უკანა ნახევარმცველად თამაში, საჯარიმოების ზუსტად შესრულება... ახლა იგი ბუნდესლიგელი „ფრაიბურგის" ერთ-ერთი სტაბილური ფეხბურთელია.

მოდით, ამ ოთხზე შევჩერდეთ და იცით, რატომ განვავრცეთ მათზე საუბარი? ამ ფეხბურთელების კარიერა ყველაზე ნათელი დასტურია იმისა, როგორ შეიძლება ჰქავდეს მოთამაშის ბედი ჩვეულებრივი ლუდის ბოთლისას.

სწორედ ისე მიაკერეს ლობანოვსკიმ, გაზაევმა, სიომინმა თავიანთ განკარგულებაში მყოფ ქართველ ფეხბურთელებს ახალ-ახალი ამპლუები როგორც ლუდის ბოთლს ეტიკეტები.

სწორედ ეს უნდა იყოს მწვრთნელის ფუნქციაც — ან აღმოაჩინოს ფეხბურთელი, ანაც უკვე „აღმოჩენილში აღმოაჩინოს" ახალი გაქანება (ყოველ შემთხვევაში სერ ალექს ფერგიუსონი ასე თვლის)

### გზა და გზა სახელისკენ

ფეხბურთში იმიჯს და სახელს მარტო იმიჯმეიკერები ვერ გაგიკეთებენ. ამისთვის საჭიროა, სულ ცოტა, ფეხბურთელი მაინც იყო. ერთია სახელი და მეორე — გზა ამ სახელისკენ. მაგალითად, ანელკა მარტო სახელია, ზიდანი ან ბაჯო სახელიცაა და გზაც ამ სახელისკენ — მოკლედ, განსხვავება არ გაუჭირდება მცოდნე კაცს.

ახლა, როცა ცხოვრებამ ყველა კარზე დაგვიბრახუნა, მარტო სახელი და „რანი ვიყავით" აღარაა საკმარისი. ახლა მთავარია, „რანი ვართ" და ამაზე დიდადაა დამოკიდებული „რანი ვიქნებით". სანამ ვინმე ფეხბურთელი გახდება, მან გარკვეული გზა უნდა გაიაროს. ჩვენებურ მოთამაშეს ანელკასავით ვარსკვლავურ იმიჯს კაციშვილი არ მიართმევს და საჭიროა ტრამპლინები, ტრამპლინები, ტრამპლინები...

„ალანია", „დინამო" (კიევი), „ტრაბზონი", „სკონტო"...

სწორედ ამ გუნდებში გარჯის შემდეგ ხვდებიან-ხოლმე ქართველი ფეხბურთელები ევროსაქმოსანთა მხედველობის არეში და მერე ქართულ ჰორიზონტზე ახალი სახელებიც ჩნდებიან — „აიაქსი", „მილანი", „ჩელსი"...

„ჩელსი" ვახსენეთ და ცხენიც შეკაზმული გვყავს. მართალია, რატი ალექსიძე „ჩელსიში" უშუალოდ თბილისის „დინამოდან" მოხვდა, მაგრამ სანამ „დინამოს" მაისურას მოირგებდა, მანამდეც ხომ ჩელსელი იყო. ეს „ჩელსიმ" თავად გაიხსენა „თავისი" ქართველი, თორემ ალექსიძე, ფაქტობრივად, ალანიელი გახლდათ ანუ აქაც ტრამპლინი, აქაც იგივე [illegible] კი მივადექით ქვეთავის მთავარ თემას. რატომ უნდა სჭირდებოდეს ქართველ ფეხბურთელს სკონტოსდარი ტრამპლინი? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ გქონდეს ქონება, იყოს მუშტარი, შენ კი თვლა არ იცოდე და სხვას, არითმეტიკის მეტად მცოდნეს უკანონებდე უფლებას ქონებაზე.

და ხეირობენ ტრამპლინები — „ალანია", „სკონტო", „დინამო" (კიევი)... ჩვენ კი, ქართველები, იმ ონავარ ბიჭებს ვგავართ, პეპელა რომ დაუჭერიათ და ფრთებზე ფერებს აცლიან. ამაში არავითარი აზრი არ ძევს, მეტიც, უაზრობაა — ფერადი სილამაზე ერთფეროვან მასად გადაიქცევა, მაგრამ ონავარი ბიჭებისას რას გაიგებ...

ასე იზილება-ხოლმე ნაცრისფერ, უნიჭო ერთფეროვნებაში ქართველი ფეხბურთელების ნიჭი. შორს არ წავიდეთ — ნოდარ ახალკაცის ხელდასმული ლადო კაკაშვილის მაგალითიც გვეყოფა, მოსკოვის „ლოკომოტივში" რომ ლუდის დისტრიბუტორებმა მიიყვანეს და სიომინმაც ძირითადში ჩარიცხა. აქ კი, ეეჰ, ვის ახსოვდა ლადო კაკაშვილი.

და ხეირობენ ტრამპლინები...

ქართული გუნდები კი წვალობენ, ჯახირობენ, იხარშებიან საკუთარ წვენში, ერთეულები იმარჯვებენ (მარად) და მერე, როცა ევროსარბიელზე გავლენ... წარმოდგინეთ ბელურები, რომელთაც ზარბაზანი დაუშინეს — დაახლოებით ამ დღეში არიან ჩვენი გუნდები, როცა „ბაიერ"-„ბრაგა"-აეკ-პაოკ-ების ხორცსაკეპებში ხვდებიან.

### ქართული ფეხბურთიდან მილტონ-სტრიტამდე

მილტონ-სტრიტი იგივე გრაბ-სტრიტია, არაჩვეულებრივი ქუჩა ლონდონში. არაჩვეულებრივი იმით, რომ იქ წვრილფეხა ინგლისელი მწერლები ცხოვრობენ, როგორც წესი. ქართულ ფეხბურთს კი იმად ვუკავშირებ ამ მილტონ (გრაბ) სტრიტს, რომ ჩვენც მოგვიმრავლდნენ წვრილფეხები — ფეხბურთელები, კლუბები, საქმოსნები...

შესაბამისად, საქმეც უხეიროდ კეთდება.

ამბიცია კი დიდი გვაქვს, მაგრამ რა ხანია, ვერ გავცდით განვითარებადი საფეხბურთო ქვეყნის სიმაღლეს, ის კი არა, ჩვენი „ნედლეულებიც" აღარავის უნდა.

ზემოთ წვრილფეხობაზე ვთქვით და წვრილფეხობა, როგორც კასტა, ვერაფრით ჩამოყალიბდება, თუ მაღალი ფენა არ არსებობს (ნებისმიერ საქმეში ასეა — სპორტშიც და მის გარეც).

აქედან გამომდინარე, ჩვენშიაც გამოერევიან-ხოლმე ფეხბურთელები ვინც ინტერესს და ყურადღებას აღძრავს თავის გარშემო და ამ დროს არ უნდა შეუშალო ხელი. დავუშვათ, არ შედგა აშვეთიას ტრანსფერი „დინამოდან" „ალანიაში". ვისთვის იქნება ეს ამბავი მომგებიანი? გუნდებისთვის? ფეხბურთელებისთვის? სფფ-სთვის? ალბათ, არც ერთისთვის, არც მეორისთვის, არც მესამისთვის.

რაოდენ სამწუხარო და ხმამაღალი ნათქვამიც უნდა იყოს, აშვეთია (ანჩაბაძე, კიკნაძე...) უკვე გადაიზარდნენ ქართული ფეხბურთისთვის.

და წარსული წლების, სხვა ფეხბურთელების გამოცდილებაც ხომ ამას გვკარნახობს. რახან აქ თოვლი არ გვაქვს, ან თხილამურები უნდა მივაყუდოთ კედელს, ანაც სხვაგან ვეძებოთ ტრამპლინები.

### შუქი გვირაბის ბოლოს

სულ სამი მატჩი დასჭირდათ გიორგი დემეტრაძეს და ვალერი ლობანოვსკის, რათა დაემტკიცებინათ, რომ კიევის „დინამოს" მილიონები წყალში არ გადაუყრია.

მართალია, ერთხელ, მართალია, შემადგენლობაშესუსტებულ „ბაიერნთან", მაგრამ მაინც გამოიჩინა თავი გიორგიმ და ...

იმგვარად დატრიალდა, როგორც გაუხედნავი მოზვერი ფაიფურის მაღაზიაში. გაიტანა, კიდევ გაიტანს. ფაიფურის მაღაზიების მეტი რაა დედამიწაზე.

გახედნით კი ლობანოვსკი გახედნის, არხეინად ბრძანდებოდეთ.

ამ ეტაპზე კი უკეთესი გამოსავალი არ გვაქვს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



REUTERS

გიორგი დემეტრაძე (№27) უკვე აფრინდა ტრამპლინიდან



[illegible] ფოტო

მიხეილ აშვეთიას ტრამპლინზე არ უშვებენ

# გერმანელები შუქს და ფეხბურთს გვპირდებიან

რა არ ხდება ამქვეყნად... თავად განსაჯეთ. 13 მარტს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა გერმანულ ფირმა „KAB-Berlin“-გან ფაქსი მიიღო. აი ციტატა:

„როგორც მოგეხსენებათ, „KAB-Berlin“-მა რამდენიმე პროექტი წარმატებით განახორციელა ენეგეტიკის სექტორში. მიუხედავად ამისა, ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, მომავალშიც გავაღრმავოთ ურთიერთობა თქვენს სამინისტროსთან, რათა დაგეხმაროთ ელექტროენერგიის დეფიციტთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაში. თქვენთან საუკეთესო ურთიერთობის მიზნით, გთავაზობთ, ჩავატაროთ გერმანელ და ქართველ ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი. ეს მოვლენა გერმანელ და ქართველ ხალხთა მეგობრობასაც ხელს შეუწყობს. სასურველია, მატჩი თბილისში გაიმართოს. ჩვენ, „KAB-Bუკდში“, მზად ვართ, მოთამაშეებს ჰონორარი გადავუხადოთ, ავანაზღაუროთ მგზავრობისა და თბილისში დაბინავების ხარჯები. სასურველია, თქვენ უზრუნველყოთ თბილისში ტრანსპორტირება, სტადიონი და შეკრიბოთ ვეტერანთა გუნდი.“

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ გერმანელების წინადადებას დათანხმდა, საპასუხო ფაქსი გაუგზავნა, შემდეგ კი მატჩის ორგანიზება საქართველოს სპორტის დეპარტამენტს სთხოვა.

ფაქტობრივად ყველაფერი მოგვარებულია. გუშინ დეპარტამენტის თავმჯდომარის, კახი ასათიანის კაბინეტში ენერგეტიკის სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციის, თბილისის მერიის წარმომადგენლებმა სწორედ ამ მატჩის გამართვის თაობაზე ითათბირეს და გადაწყვიტეს, ვეტერანები 6 აპრილს, 5 საათზე, ეროვნულ სტადიონზე ათამაშონ.

გერმანელები თბილისს 4-ში ესტუმრებიან და „შერატონში“ დაბინავდებიან. მათ შორის რამდენიმე სახელოვანი, სხვადასხვა წლებში მსოფლიოს ჩემპიონიცაა — რუმენიგე, ბრემე, ფიოლერი, ბონჰოფი... კალცი, შტილიკე, ხრუბეშიც ჩამოვლენ და უწინ ბრემენის „ვერდერის“ თბილისში ნათამაშევი ფეხბურთელებიც.

მოკლედ, თბილისში ცნობილი გერმანელი ვარსკვლავების ნახვის საშუალება გვექნება.

აი, ვინ გესტუმრება:

*დიტერ ბერდენსკი, ბერნდ ფიორსტერი, მიხაელ რუმინიგე, მანფრედ კალცი, რუდი ფიოლერი, რაინერ ბონჰოფი, ფრანკ მილი, ჩარლი კიორბელი, ჯონი ოტენი, მატიას ჰერგეტი, გიუნტერ ჰერმანი, ფრანკ ნოიბარტი, კარლჰაინც რუმინიგე, ფრანკ ორდენევიცი, ჰორსტ ხრუბეში, მიხაელ შულცი, ტომას ვან ჰესენი, ული შტილიკე, ანდრეას ბრემე, ული შტაინი, ჰოლგერ ფახი, დიტმარ ბაიერსდორფერი, შტეფან კუნცი, გვიდო ბუხვალდი, მირკო ვოტავა.*

ჩვენები კი გერმანელებს ამათ დაახვედრებენ:

*ოთარ გაბელია, დავით გოგია, თამაზ კოსტავა, დავით მუჯირი, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები, ნოდარ ხიზანიშვილი, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, ვარხტანგ ქორიძე, გრიგოლ ცაავა, გია ფირცხალავა, მურთაზ ხურცილავა, მალხაზ არზიანი, ლევან ნოდია, კახა გოგიჩაიშვილი, გოჩა ჩიქოვანი, კახა კაჭარავა, ვახტანგ კოპალეიშვილი, ოთარ კორღალიძე.*

მერე ბანკეტიც, რა თქმა უნდა, იქნება.

**ბოტე იაშვილი**

# კუჩმას ტაში კალაძეს და დემეტრაძეს

## უკრაინელები ქართველებს ემადლიერებიან

— ᲗᲣᲙᲘ მას ესიამოვნება, მეც მესიამოვნება, ხოლო როცა მე მესიამოვნება, ორჯონიკიძემდე ისე ჩაგიყვან, შენც გესიამოვნოს

— ვისაც გია დანელიას „მიმინო“ უნახავს, არ შეიძლება, ეს ფრაზა არ ახსოვდეს.

ხუმრობით თუ ვიტყვით (ნახევრად სერიოზულადაც), ჩვენ ყველანი “მიმინოსშვილები“ ვართ, სომეხიც, ქართველიც, ოსიც, რუსიც, უკრაინელიც და ჯერაც ვცხოვრობთ ვალიკო მიზანდარისეული პრინციპით — მე ასე ვფიქრობ, ხურდა საჭირო არაა.

ვითომდა, რაღა დროს ხალხთაშორის მეგობრობაზე ლაპარაკია ამ ახალ ვირტუალურ საუკუნეში, მაგრამ თბილისში, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის სტუმრობის კვირაში, ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო საგზაო პოლიციის პიკეტებთან ყურყუტისას თვალი აზერბაიჯანული ტრანსპარანტისთვის მოეკრა — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პრეზიდენტო!

ჰოდა, ამეების შემხედვარეს, თბილისში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კეთილი ჟესტი რაღას გააკვირვებს. დღეს ვოლკოვეცკიმ წერილი მისწერა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას:

„პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოში უკრაინის საელჩო სარგებლობს შემთხვევით, რათა გამოხატოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისადმი პატივისცემა და მოგილოცოთ ქართველ ფეხბურთელთა — კახი კალაძის და გიორგი დემეტრაძის ბრწყინვალე თამაში საქვეყნოდ ცნობილი საფეხბურთო კლუბის, კიევის „დინამოს“ და „ბაიერნის“ მატჩში, რომელიც 22 მარტს კიევში შედგა.

მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელს მსოფლიოში... უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა, აპლოდისმენტები უძღვნა მატჩის გმირებს — კალაძეს და დემეტრაძეს მეტოქის კარში გატანილი გოლებისთვის.

გვსურს, კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნების უძველესი ისტორიულ-მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დღეს ფასდება, როგორც საგანგებო პარტნიორობა, ყველა სფეროში ვლინდება. გუშინდელი მატჩი ამის ნათელი მაგალითია.

კარგახანია სპორტის ჩარჩოებს გაცდენილი ფეხბურთი, ქვეყანათა განვითარების დონის მაჩვენებელი და მათი საერთაშორისო იმიჯის ნაწილი გახდა.

მილოცვასთან ერთად მიიღეთ ჩვენგან მადლიერების გულითადი სიტყვები ფეხბურთის პროპაგანდისთვის გაწეული შრომის სანაცვლოდ და უკრაინა-საქართველოს ურთიერთობათა გაღრმავება-განმტკიცებაში თქვენი წვლილისთვის.

საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სტეფან ვოლკოვეცკი“. ვერაფერს იტყვი, ისე გაუხარებია უკრაინელები მიუნხენის „ბაიერნის“ ძლევას, დიპლომატიური ეტიკეტის ყოველგვარ ჩარჩონორმებს გამცდარან და ქართული ფეხბურთის მამებისთვის მადლობა იმაზე მდაბლად თავის დაკვრით გადაუხდიათ, ვიდრე ისინი იმსახურებდნენ.

მართლაცდა, კალაძე და დემეტრაძე რომ საქვეყნოდ ცნობილი გუნდის მაისურაში ღვრიან ოფლს და ჩვენი წილი სიხარული სხვებს უხარიათ, ამაში ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის წვლილიცაა.

და მაინც, მოდი და ნუ იტყვი, ფეხბურთი ხალხს არ ამეგობრებსო. ნეტა, კალაძემ და დემეტრაძემ „ბაიერნისდარი“ კლუბების კარი ხშირ-ხშირად დალაშქრონ და ერთ ორჯერ კიდევ დავდგებით პოლიციის პიკეტებთან და თუნდაც უკრაინული ტრანსპარანტების კითხვით შევიქცევთ თავს.

**ვახტანგ ბზიძაძე**

საუბრები ღმერთთან



## საუბარი მეხუთე

ეს კვირაა, მადლიერების ფორმულას ვგავარ. მართლმორწმუნის საოცარ აღტყინებას ვგრძნობ ჩემში. ეტყობა, მართლა ვყვარებივარ იქ, ზეცაში. კი, გამაგონეს, მკრეხელიო, ესაო, ისაო, მაგრამ მე და ჩემმა ღმერთმა ხომ ვიცით, ღმერთი ყველასთვის ღმერთია და „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“, რაღა ჩემთვის დაიქცევა სამყარო.

ისე, ერთხელაც მივხვდი რა შორია ვთქვათ, ქვეყნის პრეზიდენტობიდან ღმერთობამდე. ღმერთს ყველაფერი შეუძლია, ბევრს მოითხოვს და რასაც გპირდება, უკლებლივ გისრულებს.

და რა მდგომარეობაა ამ მხრივ პრეზიდენტის ინსტიტუტში? უაღრესად ცუდი — პრეზიდენტს ბევრი შეუძლია, ღმერთზე მეტს მოითხოვს, უფრო მეტს გპირდება და თითქმის არაფერს გისრულებს.

ამიტომ როცა მეკითხებიან, ვის ვაძლევ ხმას, თავმდაბლად ვამბობ — ჩემი ხმა უფალს ეკუთვნის.

იმას გიყვებოდით, მადლიერების გრძნობამ მომიცვა-მეთქი — ბურეს შაიბა ვთხოვე, ერთის მაგიერ ოთხი გაატანინა, დემეტრაძეს გაატანინეთქო და ისეთი გაატანინა, გავსკდი სიხარულით და პატრიოტიზმით, ახლა რაგბი? ჰო-ჰო-ჰო, რა გადავქელეთ, გადავთელეთ, გადავჯეგეთ და გადა... უხ, მე და ქავთარაშვილმა მაგათი, ჰოლანდიელები?!

მოდი ახლა და თქვი, არ ვართ ღვთის რჩეული ხალხიო.

ამ ამბებში ვიყავი, თასის მეოთხედფინალზე წავედი. „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯია“ და ამბავი. ჩხვლიტეს და ჩხვლიტეს გუნდებმა ერთმანეთი. რა რკინიგზელები, რის ვეტერინარები, მუშკეტერები გეგონებოდათ სულ.

გოლი ვერ გაიტანეს. არა, კი გაიტანეს, მაგრამ არ ჩათვალა თანამსაჯმა და „ვიტ ჯორჯიასაც“ რა ექნა, პენალტებამდე მიუვიდა საქმე.

მერე ის იყო დაურტყეს და აიღო ერთი, აიღო მეორე, გაიხარეს რკინიგზელებმა, შეწუხდნენ ვეტერინარები, გამიხარდა პირველთა გამო, ყურები ჩამოვყარე მეორეებს რომ შევხედე და ამ ჩემს მუჰამედ ალივით მოკანკალე გულსაც რა უნდოდა მეტი, ამომივარდა ფორმიდან რონალდოსავით, აქეთ ეცა, იქით ეცა დი ლივიოსავით და...

### ღმერთთან (მისაღებში)

გავახილე თვალი და კურნიკოვას ქალის მაგიერ ვინ დავინახე, თუ იცით? იმ, თასის მეოთხედფინალური მატჩის ოთხივე მსაჯი არ ჩაწკაპულიყო ბუფონის მაისურისფერ დივანზე?! თვალები მისაღებს მიმოვატარე, კურნიკოვა ვერ დავლანდე და დაახლოებით ისე ამოვიკვნესე, როგორც ნვანკვო კანუმ, იაპ სტამი რომ წაეჯაჯგურება-ხოლმე — ვაი, ანა...

— ქართველი ხარ, ბიჭო — მომვარდა ოთხეული — ჰო-მეთქი — ოდნავ დავუქნიე თავი, გამიკვირდა ეს ნიგერიული საიდან ისწავლეს-მეთქი და ყოველი შემთხვევისთვის საულვაშე მოვისინჯე. არა, მიწაზე არ მქონდა ულვაში და რა დიდი გზა დედამიწიდან უფლის მისაღებამდეა, გზაში რომ ამომსვლოდა.

ამასობაში ანაც გამოცქრიალდა უფლის კაბინეტიდან — როგორ ხასიათზეა? — ახლა იმას მისცვივდა ოთხეული. კურნიკოვამ წარბები შაკილ ონილის სიმაღლეზე ატყორცნა და მარჯვენა ხელისგული მარცხენა მუშტს დაუტყაპუნა — დაგერხათო, რა.

ეს ტყაპუნი იყო და მსაჯები დივანზე მიესვენენ. — აუუჰ, ამათ რა ჩაიტანს დედამიწაზე — გავიფიქრე და ანას მაგიდიდან რაღაც სურა ავიტაცე — არ შეასხა, ანალიზი მაქვს გასაკეთებელი — ამ სიტყვებით კურნიკოვა-ბურესამ სურა მაგიდის ქვემოთ შედგა, მსაჯებს მიუახლოვდა და ხელოვნური სუნთქვის ჩატარება დაუწყო. კასპაროვი და მისი ერთდროული თამაშის სეანსები გამახსენდა, ჰო-ჰო, რა მალმალე გადადიოდა ერთიდან მეორემდე?! კურნიკოვა რომ არ ყოფილიყო და ჩოგბურთი ასე კარგად არ სცოდნებოდა, ეს რომ ენახათ, „არდიში“ აიყვანდნენ მედიცინის დად.

მერე კი კოსმიური ხმაც გაისმა — რატომ აგვიანებთ? — ჩვენ ყველანი ავდექით.

### ღმერთთან (კაბინეტში)

— რატომ აგვიანებთ? — გაიმეორა უფალმა. მსაჯები ისე გახევდნენ, როგორც საეჭვო პენალტის დანიშვნისას იციან-ხოლმე — შეეშინდათ და ანა ხელოვნურ სუნთქვას უტარებდათ — წამოვაყრანტალე. უფალმა სუსხიანად გადახედა ბურეს მუზას — შენ, ქალო, ქალი ხარ თუ ქანებადის ბალიში. ხომ ამოგიტანე ნიშადურის სპირტი. ანა სახეზე სქოულზივით წამოჭარხლდა და ბრაზნარევად უპასუხა — ბესტი იყო და დამილია სულ. — ვინ ბესტი? — უცებ ვერ მიუხვდა ღმერთი — ჯორჯ ბესტი, რეანიმაციიდან ამოიპარა დღეს დილით, ჩქარა ვისკიო, არა მაქვსმეთქი, აბა, რა გაქვსო, ნიშადურის სპირტი-მეთქი, სპირტი ხომ არისო და დალია სულ. კიდევ გამოგივლითო. — ჰოდა, რომ შემოივლის, გავამწესებ სადაც საჭიროა — გაბრაზდა მამაზეციერი.

— გმადლობთ, ღმერთო, ყველაფრისთვის — ვთქვი და თვალები ისეთი წმინდა ცრემლებით ამევსო, სადაც დაეცემოდა, წეროვანის ყოჩივარდებით აავსებდა იქაურობას.

— არაფრის, ლოდინი უნდა შეგეძლოს კაცს, ხომ შეგისრულე, რაც მთხოვე.

— კი, მაგრამ, ეეჰ. ამ ჩემპიონთა ლიგის მომგონს რა ვუთხარი მე. — რითი ხარ, ბიჭო, უკმაყოფილო — ჩამისაფრდა უფალი. — დავიჯერო ახლა, ვისენტე დელ ბოსკეს „რეალი“ სჯობია ლობანოვსკის „დინამოს“? — ოხ, მე კარეუს არაქართველ დედას... რა ვუთხარი — ღმერთმა ხმამაღლა დაიწყო და ქართველ მსაჯთა გაკვირვებული სახეების შემხედვარემ ჩურჩულით დაამთავრა — ამდენის ვერგატანა შეიძლება? ამდენს შენგელია არ მაზავდა თავის დროზე. — შეადარე შენც, შენგელია ფეხბურთელი იყო — ჩავიქნიე ხელი.

— ისე, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში თუ გინდა თამაში, შინ „რეალს“ უნდა მოუგო — შემრიგებლურად მითხრა უფალმა და ბეჭზეც მომითათუნა ხელი. — წადი, ახლა შენ — ამათ არ დავუცადო? — ვიკითხე და თვალებგაფართოებულ ქართველ მსაჯებს გადავხედე. — არა, ამათ ინსტრუქტაჟი უნდა ჩავუტარო, ეტყობათ, მილჩენკოს ნოტაციები აღარ შველით — ამ სიტყვებით უფალი უეფას სამსაჯო რალაცის უფროს ალექსის პონედ გადაიქცა და იმგვარად დააბრიალა თვალები, წამის მეათედში მის კაბინეტს მიღმა აღმოვჩნდი.

ზურგს უკან კი... მაინც რა ომახიანად უქართულებდა ეს ბელგიელი კაცი. კი იძახოდა ზურიკელა ვაშალომიძე, მალე მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებითო, მაგრამ ასე მალე?

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ვიტ ჯორჯიელების ხმა ცაში გაიგეს, სამსაჯოში — არა

# შავ წითელი VS შავ თეთრი

## დღეს „სან სიროზე“: მილანი — იუვენტუსი

ამ საღამოს „მილანი“ ყველა ღონეს იხმარს, რათა თავისი ყოფილი ვარსკვლავის გუნდი, იტალიის ჩემპიონატის ლიდერი „იუვენტუსი“ დაამარცხოს. „იუვენტუსი“ მიმდინარე სეზონში 26 სექტემბრის მერე არ დამარცხებულა. „მილანმა“ კი უკვე ოთხჯერ იწვნია წაგების სიმწარე. ბოლო ტურში ვენეციაში დამარცხდა და დღევანდელ მეტოქეს 13 ქულით ჩამორჩება.

* * *

მილანელთა საშინაო მონაგარი დღეისათვის ასეთია: 7 გამარჯვება (3:1 „პერუჯა“, 4:1 „ბოლონია“, 3:0 „ვენეცია“, 2:1 „პარმა“, 2:0 „ტორინო“, 4:1 „ბარი“, 2:1 „ლაციო“), 5 ფრე (2:2 „კალიარი“, „რეჯინა“, „რომა“, „ლეჩე“ და 3:3 „ვერონა“) და ერთი დამარცხება (1:2 „ინტერი“).

* * *

იუვენტუსელთა სტუმრობებს კი ასეთი შედეგი ჰქონდა: 5 გამარჯვება (1:0 „კალიარი“, 1:0 „რომა“, 2:0 „რეჯინა“, 4:0 „ვენეცია“, 2:0 „პიაჩენცა“), 6 ფრე (1:1 „ბარი“, 0:0 „ლაციო“, 0:0 „ტორინო“, 1:1 „ფიორენტინა“, „პარმა“ და „უდინეზე“) და ერთი წაგება (0:2 „ლეჩე“).

* * *

„სან სიროზე“ „მილანი“ და „იუვენტუსი“ ერთმანეთს 67-ჯერ შეხვედრიან. 22-ჯერ გაიმარჯვა „მილანმა“. ბოლოს შავ-წითლებმა ტურინელებს 1995 წლის 15 ოქტომბერს აჯობეს 2:0. მაშინ გოლები მარკო სიმონემ და ჟორჟ ვეამ გაიტანეს. დღევანდელ მეტოქეთა დაპირისპირება 29-ჯერ ფრედ დამთავრდა, რომელთაგან ბოლო 1999 წლის 6 იანვრის 1:1 გახლდათ. გოლები მილანელმა დემეტრიო ალბერტინიმ (პენალტი) და დანიელ ფონსეკამ გაიტანეს. 16-ჯერ გაიმარჯვა „იუვენტუსმა“. შავ-თეთრებმა ბოლოს 1997 წლის 6 აპრილს წარმოუდგენელი ანგარიშით, 6:1, აჯობეს მასპინძლებს. გოლები გაიტანეს იუგოვიჩმა (2), ვიერიმ (2), ზიდანმა და ამორუზომ სტუმართაგან, სიმონემ მილანელთაგან.

* * *

„მილანისა“ და „იუვენტუსის“ ისტორიაში არის სამი ფეხბურთელი, რომელთაც როგორც ერთ, ასევე მეორე გუნდში უთამაშიათ: კარლო ანჩელოტი, ედგარ დავიდსი და ჯანლუკა პესოტო (მილანის ბავშვთა სკოლის აღზრდილი).

* * *

რაც შეეხება მწვრთნელებს, ალბერტო ძაკერონი და კარლო ანჩელოტი ექვსჯერ წარმსდგარან ერთმანეთის პირისპირ. სამჯერ გაიმარჯვა ძაკერონიმ (ბოლოს 1999 წლის 9 მაისს, 2:0), ერთხელ მათი დაპირისპირება ფრედ 1:1 დასრულდა, თუმცა მაშინ ძაკერონი „უდინეზეს“ ედგა სათავეში, ანჩელოტი კი „პარმას“. ორჯერ გაიმარჯვა ანჩელოტიმ (ბოლოს 1999 წლის 21 ნოემბერს, 3:1).

* * *

საგულისხმოა, რომ „იუვენტუსმა“ მიმდინარე სეზონში სტუმრად უფრო მეტი ქულა მოიპოვა (21) და ნაკლები გოლი გაუშვა (13-დან 6), ვიდრე შინ. მილანელებმა კი 52 გატანილიდან 32 სწორედ შინ შეაგდეს. გარდა ამისა, დღევანდელი მეტოქეები ყველა სხვა გუნდზე უფრო ხშირად არტყამენ პენალტებს. „მილანი“ მიმდინარე სეზონში 11-ჯერ დააჯილდოვეს პენალტით (გაიტანა 8), ხოლო „იუვენტუსი“ — 8-ჯერ (რვავე გოლით დასრულდა).

* * *

დღევანდელი შეხვედრა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან იტალიური სეზონის „ოქროს ბუცის“ მაძიებლები ანდრეი შევჩენკო და ფილიპო ინძაგი. მილანელ უკრაინელს დღეისათვის 19 გოლი აქვს გატანილი და 15-გოლიან ინძაგის ოთხით უსწრებს, თუმცა თუ სერია A-ს გავცდებით და ყველა შეჯიბრებაში ერთად დავითვლით, მაშინ უპირატესობა იუვენტუსელს დარჩება (26:24).

## იტალია

მილანში დიდი სამზადისია, დღეს „სან სიროს“ სერია A-ს ლიდერი „იუვენტუსი“ სტუმრობს.

„ეს თამაში, სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი თავმოყვარეობისთვისაა მნიშვნელოვანი. თანაც მის შედეგზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები ჩემპიონატში და შევძლებთ თუ არა ბოლო დროინდელი უიღბლობისგან თავის დაღწევას.“ — მილანელთა კაპიტნის, პაოლო მალდინის ეს სიტყვები ბევრს მეტყველებს.

ახლა გუშინდელ იტალიურ გაზეთებსაც გადავხედოთ. „კორიერე დელო სპორტი“: „ძაკერონი „იუვენტუსს“ 50 მილიონის ნიჭს უპირისპირებს.“ — წერია პირველ გვერდზე, შიგნით კი მილანელი ალესანდრო კოსტაკურტას სიტყვებია მოხმობილი: „ტურინელებთან შეხვედრით ჩვენ მთავარ დინებაში დაბრუნებას ვაპირებთ“.

იმავე გაზეთში წერია, რომ ძაკერონის მეკარე კრისტიან აბიატის იმედი აქვს, თუმცა აბიატიმ განსაკუთრებული ყურადღება ფსიქოლოგიურ მომზადებას უნდა მიაქციოს, მით უფრო, ბოლო დროს მცირე ტრავმამ შეაწუხა.

„ტუტოსპორტში“ მილანელთა ვიცე პრეზიდენტის, ადრიანო გალიანის სტრატეგიული სიტყვებია მოხმობილი: „სკუდეტოს მოსაგებად მხოლოდ მდიდარი კლუბობა არ კმარა, ამას ნიჭიერი ფეხბურთელები სჭირდება. ამ თვალსაზრისით ჩვენ და „იუვენტუსი“ ერთ პოლიტიკას ვადგავართ, მაგრამ ეს ამ კონკრეტულ შეხვედრაში არაფერს ნიშნავს. „მილანი“ ტურინელებს დიდ ბრძოლას გაუმართავს.“

ამასობაში დღევანდელ მასპინძელთა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, ხორვატი ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი საფრანგეთის ქალაქ ლიონში მუხლის ოპერაციას იკეთებს. ხორვატი ფეხბურთელი სექტემბრამდე მოედანს ველარ დაუბრუნდებაო, იმასაც ამბობენ.

ბობანის გარდა, „სან სიროზე“ მისული ქომაგი კიდევ სამ ფეხბურთელს ვერ იხილავს. მილანელებს მასიმო ამბროზინი არ ეყოლებათ, ტურინელებს კი დისკვალიფიცირებული კაპიტანი ანტონიო კონტე და ნახევარმცველი ჯანლუკა პესოტო.

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

### XXXVIII ტური

**ბლექბერნი 1:0 ბირმინგემი**
1:0 დანი (90)

**ჩარლტონი 4:0 გრიმსბი**
1:0 ნიუტონი (8), 2:0 სვენსონი (53), 3:0 პანტი (60), 4:0 ტაილერი (85)

**ნორვიჩი 0:2 სუინდონი**
0:1, 0:2 პეი (56პ, 64)

**ქუინზ პარკი 0:1 კრ. პალასი**
0:1 მორისონი (69)

**ტრანმერი 0:2 იფსვიჩი**
0:1 ჰოლანდი (18), 0:2 ჯონსონი (57)

**ბარნსლი 1:0 ფულემი**
1:0 შიპერლი (43)

**ბოლტონი 2:0 შეფილდ იუნ.**
1:0 ჯონსტონი (32), 2:0 ოკენი (45)

**ჰადერსფილდი 2:1 ნოტინგემი**
0:1 ჰერვუდი (21), 1:1 ბიჩი (27), 2:1 ჰოლანდი (56)

**პორტვეილი 1:2 უოლსოლი**
0:1 მატიასი (12), 0:2 ფენტონი (45), 1:2 კუმინსი (59)

**პორტსმუთი 2:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 კლარიჯი (26პ), 2:0 დერი (85)

**სტოკპორტი 2:2 მანჩესტერ სიტი**
0:1 ჰორლოკი (7), 1:1 მური (27), 2:1 ფლინი (43), 2:2 ჯობსონი (79)

**ვულვერჰემპტონი 2:0 ქრიუ**
1:0 სედჯლი (13), 2:0 ტეილორი (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 37 | 25 | 6 | 6 | 70:33 | 81 |
| იფსვიჩი | 38 | 19 | 11 | 8 | 58:37 | 68 |
| სიტი | 37 | 19 | 9 | 9 | 58:35 | 66 |
| ბარნსლი | 37 | 19 | 8 | 10 | 70:55 | 65 |
| ბირმინგემი | 38 | 18 | 9 | 11 | 58:41 | 63 |
| ჰადერსფილდი | 38 | 18 | 9 | 11 | 56:40 | 63 |
| ვულვზი | 38 | 17 | 10 | 11 | 53:41 | 61 |
| ბოლტონი | 38 | 15 | 12 | 11 | 50:38 | 57 |
| ფულემი | 38 | 14 | 14 | 10 | 39:34 | 56 |
| ქუინზ პარკი | 38 | 13 | 15 | 10 | 49:43 | 54 |
| ბლექბერნი | 38 | 13 | 14 | 11 | 44:41 | 53 |
| შეფილდ იუნ. | 38 | 13 | 11 | 14 | 54:55 | 50 |
| ნორვიჩი | 38 | 12 | 12 | 14 | 37:41 | 48 |
| კრ. პალასი | 38 | 11 | 13 | 14 | 48:55 | 46 |
| სტოკპორტი | 38 | 11 | 13 | 14 | 40:52 | 46 |
| გრიმსბი | 38 | 13 | 7 | 18 | 38:59 | 46 |
| ტრანმერი | 36 | 12 | 8 | 16 | 45:54 | 44 |
| პორტსმუთი | 37 | 11 | 9 | 17 | 43:52 | 42 |
| ნოტინგემი | 38 | 10 | 11 | 17 | 42:50 | 41 |
| ქრიუ | 38 | 11 | 8 | 19 | 40:51 | 41 |
| ვესტ ბრომვიჩი | 38 | 8 | 15 | 15 | 30:48 | 39 |
| უოლსოლი | 38 | 9 | 11 | 18 | 42:61 | 38 |
| პორტვეილი | 36 | 6 | 12 | 18 | 39:53 | 30 |
| სუინდონი | 38 | 6 | 11 | 21 | 29:61 | 29 |

## შოტლანდია

### გადადებული მატჩები

**ჰიბერნიანი 1:2 დანდი**
1:0 პაატელაინენი (22), 1:1, 1:2 ფალკონერი (62, 90)

**ჰართსი 3:0 აბერდინი**
1:0 კამერონი (9), 2:0 უელსი (47), 3:0 ფალტონი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 25 | 19 | 5 | 1 | 71:20 | 62 |
| სელტიკი | 25 | 16 | 2 | 7 | 70:26 | 50 |
| ჰართსი | 26 | 11 | 6 | 9 | 39:33 | 39 |
| მოზერუელი | 25 | 9 | 8 | 8 | 35:47 | 35 |
| ჰიბერნიანი | 27 | 8 | 9 | 10 | 40:46 | 33 |
| დანდი იუნ. | 24 | 9 | 5 | 10 | 27:38 | 32 |
| სტ. ჯონსტონი | 27 | 7 | 9 | 11 | 25:32 | 30 |
| დანდი | 26 | 8 | 3 | 15 | 32:52 | 27 |
| კილმარნოკი | 26 | 3 | 13 | 10 | 27:35 | 22 |
| აბერდინი | 25 | 6 | 4 | 15 | 30:67 | 22 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

### XXIV ტური

**ნიურნბერგი 5:1 ჰანოვერი**
1:0 ბელიაკოვი (18), 1:1 რაინჰარდტი (21), 2:1 ბელიაკოვი (46), 3:1, 4:1 დრილერი (48, 64), 5:1 სტოილასი (88)

## რუმინეთი

XXIV ტური. ოცელული — ნაციონალი 2:0; არჯეში — ონეშტი 2:0; პეტროლული — როკარი 4:1; ექსტენსივი — ბრაშოვი 0:1; გლორია — რაპიდი 1:2; ბაკეუ — უნივერსიტატეა 3:0; ჩეჰლაული — რეშიცა 4:2; დინამო — ასტრა 2:1; სტიაუა — ფარული 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 21 | 2 | 1 | 68:19 | 65 |
| რაპიდი | 24 | 16 | 4 | 4 | 42:24 | 52 |
| არჯეში | 24 | 14 | 3 | 7 | 35:22 | 45 |
| ჩეჰლაული | 24 | 13 | 4 | 7 | 38:32 | 43 |
| გლორია | 24 | 12 | 2 | 10 | 35:32 | 38 |
| სტიაუა | 23 | 11 | 3 | 9 | 44:43 | 36 |
| ბაკეუ | 24 | 10 | 6 | 8 | 27:27 | 36 |
| ასტრა | 24 | 10 | 5 | 9 | 35:28 | 35 |
| ნაციონალი | 24 | 9 | 4 | 11 | 39:32 | 31 |
| ბრაშოვი | 24 | 9 | 3 | 12 | 36:34 | 30 |
| უნივერსიტ. | 24 | 8 | 6 | 10 | 27:27 | 30 |
| ოცელული | 24 | 9 | 3 | 12 | 37:38 | 30 |
| პეტროლული | 24 | 8 | 5 | 11 | 30:36 | 29 |
| როკარი | 23 | 9 | 0 | 14 | 32:40 | 27 |
| ფარული | 24 | 7 | 6 | 11 | 27:37 | 27 |
| ონეშტი | 24 | 7 | 3 | 14 | 26:55 | 24 |
| რეშიცა | 24 | 4 | 6 | 14 | 28:53 | 18 |
| ექსტენსივი | 24 | 4 | 3 | 17 | 16:42 | 15 |

# დაე, ლიპიმ გადაწყვიტოს

ბრაზილიელმა ვარსკვლავმა რონალდომ საკმაოდ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა. გუშინწინ ფეხბურთელმა ითამაშა კიდეც. ერთ-ერთ საწვრთნელ მატჩზე ერთმანეთს „ინტერის“ ძირითადი და სარეზერვო გუნდები შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ დუბლებში ითამაშა კლარენს ზეედორფის ძმამ.

მილანური გუნდის დაახლოებით ათასმა თავგადაკლულმა გულშემატკივარმა, რომელმაც „ინტერის“ საწვრთნელ ბაზაზე მისვლა არ დაიზარა, მინდორზე კვლავ იხილა რონალდო. მან დაახლოებით ოცი წუთი ითამაშა და საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობით კმაყოფილი დარჩა.

„თავს კარგად ვგრძნობ, ტრავმა თითქმის მოვიშუშე. მართალია, ფორმიდან ამოვვარდი, მაგრამ დღეს აშკარად კმაყოფილი ვარ — განაცხადა მინდვრიდან გამოსულმა რონალდომ. გეხსომებათ, ბრაზილიელს სერია A-ში შარშან ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია. „ლეჩესთან“ მატჩში მან მძიმე ტრავმა მიიღო და გუნდს ხუთი თვით გამოაკლდა. პარიზის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში ფორვარდმა მუხლის ოპერაციაც გაიკეთა და აი, როგორც იქნა, გამოჯანმრთელდა.

„ძირითად შემადგენლობაში თამაშის დიდი სურვილი მაქვს — თქვა რონალდომ — ეს დრო ალბათ შორს არაა, ტრავმა თითქმის მოვიშუშე. ცოტა ხანი და ალბათ მინდორზეც გამოვჩნდები“.

რონალდოს და კიდევ რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელის არყოფნაში „ინტერის“ გაჩემპიონება ერთობ საეჭვო გახდა. სკუდეტოს მოგების შანსი ბრაზილიელმა ამგვარად შეაფასა: „ბევრი ამბობს, რომ „ინტერი“ ტრავმებმა ჩამოარჩინა. ეს ალბათ მართალია. მე, ვიერის და კიდევ სხვა რამდენიმე ფეხბურთელს უკვე კარგა ხანია, არ გვითამაშია, ამან გუნდს თავისი კვალი დაატყო. თუმც მინდა ვთქვა, რომ ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ, თან იმედი ვიქონიოთ, რომ „იუვენტუსი“ ყველა თამაშს ვერ მოიგებს, მერე კი ვნახოთ. მართალია, „ბებერ ქალბატონს“ სკუდეტოს მოპოვების გაცილებით რეალური შანსი აქვს, მაგრამ ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა.“



ხუთთვიანი შესვენების შემდეგ რონალდომ ვარჯიში განაახლა

მიმდინარე სეზონში „ინტერის“ ასპარეზობაზე ბრაზილიელმა თავისი აზრი გამოთქვა: „წლეულს ბევრი ახალი ფეხბურთელი შეგვემატა, მწვრთნელიც ახალი მოვიდა, თავიდან შეუთამაშებლობა დაგვეტყო, მერე ტრავმების ეპიდემია დაიწყო. ასე რომ, არ გაგვიმართლა. ახლა როგორც იქნა, გუნდმა თავისი ძალა ირწმუნა, სეზონის ბოლო ნაწილს კარგად ვატარებთ, მაგრამ „იუვენტუსი“ უკვე წინაა, ასე რომ, სკუდეტოს ბედი მარტო ჩვენზე აღარაა დამოკიდებული“.

### რას იზამს რეკობა?

რონალდოს გამოჯანმრთელების შემდეგ ჟურნალისტებს ბუნებრივი კითხვა დაებადათ, რა მოელის რეკობას, დარჩება თუ არა იგი გუნდის ძირითადში. რონალდო-ვიერის არყოფნაში, ურუგვაელმა ფორვარდმა საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი ამოცანას. „პრობლემას ვერ ვხედავ — ამბობს გუნდის კიდევ ერთი დამრტყმელი ძალა ივან სამორანო — პირიქით, უკეთესია, შეტევის ხაზი გაძლიერდება, რეკობამ თავისი სიძლიერე დაამტკიცა, ლიპი მასზე დიდ იმედს ამყარებს“.

თავად ურუგვაელი, რომელიც ყოველთვის თავმდაბლობით გამოირჩეოდა, ამბობს: „მოხარული ვარ, რომ რონალდო დაბრუნდა. ეს გუნდისთვის კარგია. სულაც არ გამოვრიცხავ, ლიპიმ შეტევაში ერთად შეგვაწყვილოს. მე სათამაშოდ ყოველთვის მზად ვარ. ორი ფორვარდის გვერდითაც მშვენივრად ვგრძნობ თავს, მაგრამ ეს ყველაფერი ლიპის გადასაწყვეტია“.

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. B ჯგუფი

**ვალენსია 0:0 მანჩესტერი**

ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, კილი გონსალესი, ანგულო, ფარინოსი, ხერარდი, ხუან სანჩესი (ილიე 70), კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, ჰ. ბერგი, ირვინი, სქოულზი, კინი, ბათი, ფორჩუნი, შერინგემი, სოლსკიაერი (კრუიფი 67)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: სოლსკიაერი
მსაჯი: ლ. მიხელი (სლოვაკეთი)
48 000 მაყურებელი

„ვამაყობ ჩვენი შედეგით, ფეხბურთელებით და ქომაგებით, ყველას მადლობას ვუხდი“ — თქვა მატჩის შემდეგ ექტორ კუპერმა. ისეთი განაცხადია, კაცი იფიქრებს, მისმა გუნდმა მრისხანე მეტოქეს დაძაბულ ბრძოლაში სამი ქულა გამოსტყუაო. სამი ქულა არა, მაგრამ „ვალენსიამ“ რაც ისურვა, მიიღო კიდეც — გუნდი მეოთხედფინალში გავიდა.

ორივე გუნდის მოთამაშენი, განსაკუთრებით შეხვედრის მიწურულს, ბურთის გორაობით იყვნენ დაკავებულნი. თუმცა შიგადაშიგ სახიფათო მომენტებიც იქმნებოდა, რასაც ორი მიზეზი ჰქონდა. ერთი ის, რომ სასურველი ანგარიშის შენარჩუნება კარგია, მაგრამ ქომაგთა გულის მოგებაც საჭიროა — ვალენსიას „მესტალა“ ხომ გადაჭედილი იყო. მეორე მიზეზიც — „ფიორენტინა“ თუ „ბორდოს“ დაამარცხებდა (რაც გასაკვირი არ იყო) და „ვალენსია“ კი შემთხვევით გოლს გაუშვებდა, საქმე დაღუპული იქნებოდა. ამიტომ მასპინძლებმა შეტევით დაიწყეს. პირველივე წუთებზე ჯერ მიგელ ანხელ ანგულომ, შემდეგ კი ხერარდ ლოპესმა დაარტყეს ბოსნიჩის კარის მიმართულებით, მაგრამ ოდნავ არაზუსტად. 34-ე წუთზე ანგლომამაც შეუტია სახიფათოდ და ბურთი ძელს გაარტყა. ინგლისელთაგან ტედი შერინგემი და ოლე გუნარ სოლსკიაერი აქტიურობდნენ, მაგრამ კანისარესის კარის გასაღები ვერა და ვერ იპოვეს. ერთი ორჯერ ფორჩუნმაც გაიხსენა, რომ ადრე ესპანეთში, კერძოდ მადრიდის „ატლეტიკოში“ თამაშობდა და ამ ქვეყანაში კვლავ ჩასულმა თავის გამოჩენა სცადა.

საბოლოოდ მატჩი ფრედ — 0:0 დამთავრდა და ფეხბურთელებმა მინდორი მაყურებელთა ოვაციის თანხლებით დატოვეს. ტაშისცემა კი ჯერ კიდევ შეხვედრის დასრულებამდე დაიწყო. ბოლო წუთებზე კლაუდიო ლოპესმა თამაშს თავი ანება და დირიჟორობას მიჰყო ხელი, აქაოდა, საინტერესო აღარაფერი მოხდებაო და ქომაგებს ანიშნებდა, ზეიმის დაწყების დროაო.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მწვრთნელები იმას ხომ არ იტყოდნენ, ერთმანეთს გული არ გავუტეხეთ და ფრედ ვითამაშეთო. ამიტომ შემდგომ პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ექტორ კუპერი: „მეოთხედფინალში თანაბარი ძალის გუნდები გავიდნენ, ამიტომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

ალექს ფერგიუსონი: „ვფიქრობ, ფინალში გასვლა შეგვიძლია. მეორე გუნდი? იქნებ „ვალენსიაც“ იყოს, რატომაც არა, ჩინებული ფეხბურთელები ჰყავს“.

*გუშინდელ „სარბიელში“ ტექნიკური მიზეზის გამო „ვალენსია“ — „მანჩესტერის“ მატჩის მიმოხილვა ვერ შემოგთავაზეთ, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.*

# ევროპის გათასება

კონტინენტის პირველობების ისტორია **1964** *გიორგი დარჯანია*



სარბიელის არქივიდან

1964 წლის 21 ივნისი. ესპანელები მეშვიდე ცაზე. ევროპის თასი მათ მთავარ მწვრთნელს ხოსე ვილიალონგას უპყრია

# პოლიტიკური თამაში

### საბოლოო გამარჯვება

1960 წლის 10 ივლისს პარიზში, „პარკ დე პრინსზე“, საბჭოთა კავშირმა იუგოსლავიას მოუგო და ევროპის თასს დაეუფლა. ორგანიზატორებმა ტურნირის შედეგები მაშინვე შეაჯამეს. თუმცა ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა მთელი ორი წლით გადადო. არადა, უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლდათ — პირველი გათამაშება ლამის ჩაიშალა, რადგან უეფამ მასში მონაწილეობის მსურველი ჩვიდმეტი გუნდი ძლივს შეკრიბა. რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდებოდა ეს შეჯიბრი? შემდეგ მან ევროპული ქვეყნების დაინტერესება?

და აი, უეფაში ამჯერად ოცდაცხრა ქვეყანამ შეიტანა განაცხადი. ბევრია ეს თუ ცოტა? დღეს ოცდაცხრა მონაწილე ქვეყანა სასაცილოდ ჟღერს. მას შემდეგ, რაც 90-იან წლებში ბევრ კონტინენტზე დამოუკიდებლობის გამოცხადების ტალღამ გადაუარა, ევროპის პოლიტიკურ რუკაზე ახალი ფერები გაჩნდა. მაშინ კი ევროპა სულ ოცდაცამეტ სახელმწიფოს ითვლიდა. ამიტომ ის, რომ თასისთვის ბრძოლაში ოცდაცხრა ქვეყანა ჩაება, დიდი გამარჯვება იყო. და თუმცა ანრი დელონე, უეფას პირველი გენერალური მდივანი და იდეის ავტორი, ამ დღეს ვერ მოესწრო, მისი ოცნება ახდა — კონტინენტის პირველობას ბედი სხვა გზით არ ეწერა. დასავლეთ გერმანიის, შოტლანდიის, ფინეთის და კვიპროსის არყოფნა აღარავის ცვლიდა.

### ფილისურა და პოლიტიკა

შეჯიბრების ჩატარების წესი იგივე დარჩა, რაც ოთხი წლის წინ იყო — გზა მეოცეხმეტედფინალიდან ნახევარფინალამდე, მატჩების შინ და სტუმრად გამართვის პრინციპით. რაც შეეხება მასპინძელ ქვეყანას, ესპანეთი მხოლოდ ოთხ შეხვედრას უმასპინძლებდა — ნახევარფინალებს, მატჩს მესამე ადგილისთვის და ფინალს.

ზემოთ ის ქვეყნები ვახსენეთ, თასისთვის ბრძოლაზე უარი რომ თქვეს. წილისყრის შემდეგ მათ მეხუთე განდგომილიც შეემატა. რიგით მეცხრე წყვილი საბერძნეთმა და ალბანეთმა შეადგინეს. როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან ხმელთაშუაზღვისპირა ამ ორ ქვეყანას? დაახლოებით ისეთი, როგორც ინგლისს და არგენტინას ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომის შემდეგ. ბერძნებს ჯერაც არ დავიწყებოდათ, რომ შორეულ 1912 წელს მეზობლებთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. გამარჯვება პოლიტიკურმა ამბიციამ. უსაფრთხოების არქონის საბაბით საბერძნეთის ნაკრებმა ტირანაში ჩასვლაზე უარი თქვა. შესაბამისად, ალბანელები მეოცედფინალში უბრძოლველად გავიდნენ.

თუმცა ალბანეთის ნაკრები ერთადერთი რიდი აღმოჩნდა, ვისაც სხვისი სანუკვარი ეჩვენა. პირველ ეტაპზე თამაშისგან საბჭოთა კავშირი, ავსტრია და ლუქსემბურგიც განთავისუფლდნენ. არა, პოლიტიკა აქ უკვე არაფერ შუაშია. უბრალო არითმეტიკის ამბავი გახლავთ. მონაწილე გუნდების არსებული რაოდენობა (საბერძნეთს ჯერ არ ჰქონდა უარი ნათქვამი) მეოცედფინალური წყვილების შესადგენად საკმარისი არ იყო. ამიტომ ოცდაცხრა გუნდს ცამეტი წყვილი შეადგინა, სამიც (ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ) მერვედფინალში პირდაპირ გავიდა.

### მოჯაჯვალ რაინდი

ერთი წესიც, უფრო სწორად, მისი არარსებობა უნდა აღვნიშნოთ. მაშინ, 1962 წელს, წილისყრისას ლიდერთა განთესვა არ ხდებოდა. ეს კი ტურნირის სტარტზევე ფავორიტთა შეჯიბრების დიდ ალბათობას ქმნიდა. ასეც მოხდა — ინგლისი და საფრანგეთი მეოცედფინალშივე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ამ ქვეყნების ქიშპი იმ დროიდან იღებს სათავეს, როცა ფეხბურთი არ არსებობდა. მოგვიანებით ბრძოლა საფეხბურთო მინდვრებზე გაგრძელდა. ფრანგებმა ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ვერ შეძლეს და ინგლისის დამარცხება მათთვის პრესტიჟის ამბავიც გახლდათ.

პირველი მატჩი 1962 წლის 3 ოქტომბერს შეფილდში გაიმართა. ფრანგებს ახალი მწვრთნელი ანრი გერენი ედგა სათავეში. მისი ინგლისელი კოლეგა უოლტერ უინტერბოტომი კი თავის ბოლო მატჩს ატარებდა. თამაშის წინ ხმები აგორდა, 31 წლის რაიმონ კოპას შვილი მძიმედ ავად ჰყავს და არ ითამაშებსო. მასპინძელთაგან კი მეგოლე ჯიმი გრივსის გამოჩენა ეეჭვებოდათ — ის დაშავებული იყო.

მატჩი დაიწყო. შეფილდის „ჰილსბოროზე“ ორივე ფეხბურთელი გავიდა. ინგლისელებმა ბრაზილიელებისგან 4-2-4 სისტემა ისესხეს, ხოლო მეტოქემ მთელ მინდორზე მჭიდრო პრესინგს მიმართა. ფრანგთაგან რაიმონ კოპა საუკეთესო იყო. მართალია, მას გოლი არ შეუგდია და საერთოდაც, დაიჩრდილა, მაგრამ თავისი საქმე მაინც გააკეთა. კერძოდ, ინგლისელთა მთელი დაცვა მის გასანეიტრალებლად მუშაობდა და უმეთვალყურეოდ დარჩენილმა გიონმა მე-8 წუთზე სტუმრები დააწინაურა. ფრანგებს კიდევ მრავალი მომენტი შეექმნათ, მაგრამ ჟიუსტ ფონტენის დარი მეგოლე გუნდში აღარ იყო. მასპინძლებმა კი თერთმეტმეტრიანი დარტყმითღა შეძლეს წონასწორობის აღდგენა. ეგ იყო და ეგ.

საპასუხო მატჩი პარიზში ხუთი თვის შემდეგ გაიმართა. იმ დროისთვის ინგლისელებმა მწვრთნელი შეცვალეს — ახალი ალფ რამსეი გახდა. მაშინ ვის ეცოდინებოდა, ახლა კი ვიცით, ალფ რამსეიმ რამდენიმე წლის შემდეგ ინგლისს არნახული წარმატება მოუტანა. არადა, მისი დებიუტი უიღბლო გამოდგა. პარიზულ მატჩში რამსეიმ ერთბაშად ხუთი თავდამსხმელი გაიყვანა მინდორზე — კონელი, ტამბლინგი, სმიტი, გრივსი და ბობი ჩარლტონი. მათ ორი გოლის გატანაც მოახერხეს, მაგრამ რად გინდა, ფრანგებმა ხუთით უპასუხეს და ინგლისი თასის გათამაშებას პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა. ალფ რამსეი სამშობლოში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, დიდი თუ პატარა მას ლანძღავდა. სამი წლის შემდეგ კი ინგლისმა „უემბლიზე“ გერმანიას მოუგო და დედოფალმა ალფ რამსეის რაინდის ტიტული უბოძა.

### 32 წელი ანუ კარგი გაკვეთილი

რამდენიმე საინტერესო ფაქტიც ვახსენოთ. პირველ ეტაპზე ოცდაექვსი მატჩის ნაცვლად ოცდაშვიდი გაიმართა. საქმე ის გახლავთ, რომ ბულგარეთი — პორტუგალიის წყვილში ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით 3:1 დასრულდა, მეტოქეებმა რიგრიგობით მოიგეს. ახლა ასეა, ჯერ დამატებითი 30 წუთი, შემდეგ საჭიროების შემთხვევაში პენალტების სერია. მაშინ კი სხვაგვარად იყო, მესამე, გადამწყვეტი მატჩი დაინიშნა. გადათამაშება მეოთხედფინალშიც გაიმართა, თუმცა მიზეზი რამდენადმე განსხვავებული გახლდათ. ლუქსემბურგი — დანიის პირველი შეხვედრა 3:3 დამთავრდა, მეორე — 2:2. წესით და რიგით, ნახევარფინალში მეტოქის მინდორზე გატანილი მეტი გოლის წყალობით დანია უნდა აგსულიყო, მაგრამ ამ კრიტერიუმით გამარჯვებულის გამოვლენა არ ხდებოდა და დანიელებს ნახევარფინალში გასასვლელად დამატებითი ძალისხმევა დასჭირდათ.

ლუქსემბურგი ვახსენეთ. ამ გუნდმა ტურნირზე სენსაცია მოახდინა და მერვედფინალში ჰოლანდიის ნაკრებს სძლია. პირველი მატჩი ამსტერდამში ჩატარდა და მასპინძლებმა მინდორზე მეორე თუ მესამე შემადგენლობა გაიყვანეს. დაისაჯნენ — შეხვედრა 1:1 დასრულდა. საპასუხო მატჩიც ლუქსემბურგელთა თხოვნით ჰოლანდიაში გაიმართა და მას როტერდამმა უმასპინძლა. ჰოლანდიელებმა შემადგენლობა კი გადააახალისეს, მაგრამ თავი დიდად არ გამოუდიათ — „ფეიენოორდის“ ფეხბურთელებს ეროვნული ნაკრების მაისურები გადააცვეს და მოედანზე გაუშვეს. თამაშის დასრულებისას ტრიბუნებზე სამარისებური სიჩუმე სუფევდა. რა გასაკვირია, ლუქსემბურგმა ხომ 2:1 მოიგო.

თავისთავად ლუქსემბურგის და ჰოლანდიის ნაკრების ორრაუნდიან პაექრობაზე ვერ იტყვი, ჩინებული სანახაობა იყოო, მაგრამ ჭკუის სასწავლებლად ვარგა — აი, ასეა, მოწინააღმდეგეს რომ არ შეაფასებ. ლუქსემბურგელებს კი ის გამარჯვება დიდხანს ახსოვდათ. აბა, რა იქნებოდა, მას შემდეგ ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე (ფინალურ ტურნირზე ვინ მოახვედრებდა) მათ 32 წელი, მატჩი არ მოუგიათ.

### „ლუჟნიკებზე“ კოკისპირულ წვიმაში

მერვედფინალების წილისყრა 1963 წლის 26 მარტს ამსტერდამში მოეწყო. მეთექვსმეტედფინალის მსგავსად ამჯერადაც ერთი ისეთი წყვილი შეიქნა, იმ გუნდების თამაში ფინალს დაამშვენებდა. სსრკ-იტალიის დაპირისპირებაზე მოგახსენებთ.

1963 წლის 13 ოქტომბერს მოსკოვში დილიდან გადაუღებლივ წვიმდა, მაგრამ გულშემატკივრებს რა შეაშინებდა — სტადიონი გადაიჭედა. საინტერესოა, რომ იტალიელთა რიგებში ორი ისეთი ფეხბურთელი თამაშობდა, ვის გვარებსაც ახლაც ყოველდღიურად ვახსენებთ — ჩეზარე მალდინი და ჯოვანი ტრაპატონი. ვარსკვლავებით გადაჭედილ იტალიის ნაკრებს მოსკოვში საქომაგოდ ვიტორიო პოცოც ჩამოჰყვა — კაცი, რომელმაც აპენინელებს ორჯერ მოაგებინა მსოფლიოს ჩემპიონატი.

ცხადია, საბჭოთა ნაკრები მეტოქეს არ შეეპუა და 22-ე წუთზე ვიქტორ პონედელნიკმა ანგარიში გახსნა. შემდეგ იტალიელებს უხეშობისთვის (დუბინსკის მუშტით გაუმასპინძლდა) პასკუტი გაუძევეს და პირველი ტაიმის მიწურულს ჩისლენკომ მეორეც შეაგდო. მატჩიც ამ ანგარიშით — 2:0 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს მინდორზე ორი ქართველი იყო — ურუშაძე და მეტრეველი.

საპასუხო მატჩი რომის ოლიმპიურ სტადიონზე შედგა. კონსტანტინ ბესკოვმა ამჯერად ქართველთა სამსახურზე უარი თქვა — ურუშაძე იაშინმა შეცვალა, მეტრეველი — გუსაროვმა. აღარც პონედელნიკს უთამაშია. ცვლილებები მოახდინა ედმონდო ფაბრიმაც. არ იყვნენ მალდინი, ნეგრი, კორსო და პასკუტი. სამაგიეროდ, მოედანზე გავიდა სანდრო მაცოლა. შეხვედრა ფრედ — 1:1 დასრულდა და ლევ იაშინი მისი გმირი იყო. ბესკოვი ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდა, ამიტომაც თავდამსხმელებს ნახევარმცველებით შეცვლა. ეს ტაქტიკა არც გაამართლება (იტალიელები გაფორებით უტევდნენ), რომ არა რუსთა ლეგენდარული მეკარე — ის სასწაულებს ჩადიოდა. იაშინმა მეორე ტაიმში მაცოლას პენალტიც აიღო.

საბჭოთა კავშირი მეოთხედფინალში გავიდა, თანაც დარჩა გუნდად, რომელსაც ევროპის პირველობაზე მარცხი არ უწვნევია.

### სტუმრად ფრანკოსთან

თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე ესპანეთში სამი ქვეყნის სსრკ-ს, უნგრეთის და დანიის ნაკრები ჩავიდნენ. მეოთხე თავად ესპანეთი გახლდათ.

ნახევარფინალებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა — გაიმარჯვეს მათ, ვინც უფრო ძლიერები იყვნენ. კვლავაც უძრავოები საბჭოთა კავშირმა ეორნინის, პონედელნიკის და ვალენტინ ივანოვის სამი უპასუხო გოლით დანიას სძლია, ესპანეთმა კი უნგრეთს. თუმცა პირინეელებს გაუჭირდათ. 36-ე წუთზე პერედას გოლით დაწინაურებულებს, საქმე მოთავებული რომ ეგონათ, საპასუხო სწორედ მაშინ გაუშვეს. 86-ე წუთზე ბენემ წონასწორობა აღადგინა. ამჯერად გადათამაშება არ დანიშნულა, გუნდებმა დამატებით 30 წუთი ითამაშეს, რომლის დროსაც ამანსიომ გამარჯვების გოლი გაიტანა და ესპანეთი ფინალში გავიდა.

1964 წლის 21 ივნისი. გაივსო „სანტიაგო ბერნაბეუ“. 112 ათასი წყვილი თვალი ერთი მიმართულებით იყურება. არა, გასახდელიდან გამოსასვლელისკენ არა. იქ ტრიბუნებზე, სადაც გენერალისიმუსი ფრანკო იმყოფება. ესპანეთი და საბჭოთა კავშირი ევროპის თასის პირველი გათამაშების მეოთხედფინალში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს — მაშინ ფრანკომ არ ინება — კომუნისტურ ქვეყანაში გუნდი არ გაუშვა. ახლა ის მასპინძელია და თავისი ქვეშევრდომების გამარჯვებაშიც დარწმუნებულია — სხვაგვარად სტადიონზე არ მივიდოდა. თუმცა ესპანეთის მმართველს ერთი უსიამოვნო პროცედურის შესრულება მაინც მოუხდა — ფეხზე ამდგარი უსმენდა საბჭოურ ჰიმნს.

მინდორზე კი მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. მე-7 წუთი — პერედამ მასპინძლები დააწინაურა. „სანტიაგო ბერნაბეუ“ აბობოქრებულ ვულკანს დაემსგავსა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ დაცხრა — ჰუსაინოვმა ანგარიში გაათანაბრა.

ესპანელი ფეხბურთელები ფრანკოს თვალწინ თავს ვერ შეირცხვენდნენ. ისინი გამუდმებით უტევდნენ. მოწინაალმდეგე კი შებოჭილი იყო, ნერვიულობა აშკარად ეტყობოდათ — ისინი ფრეზე ყაბულს იყვნენ და აწყობდათ კიდეც. საქმე ის გახლდათ, რომ დებულების თანახმად ფინალურ მატჩში დამატებითი დრო არ ინიშნებოდა და ფრის შემთხვევაში გუნდები მეორე დღეს, ოღონდ ვალენსიაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს. საბჭოელები კი ფიზიკურად უკეთ იყვნენ მომზადებულნი და ამგვარ დატვირთვას ესპანელებზე უკეთ გაუძლებდნენ. ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა. ბესკოვი უკვე დარჩენილ წუთებს ითვლიდა, მაგრამ მოსახდენი მოხდა — 84-ე წუთზე მარსელინომ მცველთა შეცდომით ისარგებლა და ესპანეთის ნაკრები ანრი დელონეს თასს დაეუფლა.

გენერალისიმუსი ფრანკო კმაყოფილი დარჩა. აი, საბჭოთა ხელმძღვანელობა კი... მოსკოვში დაბრუნებული კონსტანტინ ბესკოვი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაიბარეს და ლამის სამშობლოს ღალატში დაადანაშაულეს. ფრანკისტულ ესპანეთთან მარცხი მაშინ დანაშაულად ითვლებოდა.

მონაწილე: 28 გუნდი, 529 ფეხბურთელი
სულ: ჩატარდა 54 მატჩი, გატანილია 171 ბურთი (საშუალოდ თამაშში 3,17)
საუკეთესო ბომბარდირი: უ. მადსენ I (დანია) — 11 ბურთი
საშუალო დასწრება: 36 467 მაყურებელი

## მერვედფინალამდე... 

### ნორვეგია 0:2 შვედეთი
0:1, 0:2 მარტინსონი (9, 40)
მსაჯი: ბოუმენი (შოტლანდია)
21.06.62. ოსლო. 28 249 მაყურებელი

### შვედეთი 1:1 ნორვეგია
0:1 კრუგი (60), 1:1 ლ. ერიკსონი (65)
მსაჯი: ბერგმანი (გდრ)
04.11.62. მალმიო. 8 726 მაყურებელი

### დანია 6:1 მალტა
1:0, 2:0 უ. მადსენ I (10,13), 3:0 კლაუზენი (21), 4:0 უ. მადსენ I (49), 4:1 ე. ტეობალდი (57), 5:1 ენოკსენი (70), 6:1 კ. ბერტელსენი (80)
მსაჯი: როომერი (ჰოლანდია)
28.06.62. კოპენჰაგენი. 10 622 მაყურებელი

### მალტა 1:3 დანია
0:1 უ. მადსენ I (13), 1:1 ურპანი (37), 1:2 კრისტიანსენი (42), 1:3 კ. ბერტელსენი (48)
მსაჯი: რიგი (იტალია)
08.12.62. ლა ვალეტა. 6 987 მაყურებელი

### ირლანდია 4:2 ისლანდია
1:0 ტუხი (11), 1:1 რ. იონსონი (35), 2:1 ფოგარტი (40), 3:1, 4:1 კანტუელი (65, 76), 4:2 რ. იონსონი (87)
მსაჯი: სმიტი (უელსი)
12.08.62. დუბლინი. 19 848 მაყურებელი

### ისლანდია 1:1 ირლანდია
0:1 ტუხი (37), 1:1 არნასონი (59)
მსაჯი: ნილსენი (ნორვეგია)
02.09.62. რეიკიავიკი. 9 014 მაყურებელი

### ინგლისი 1:1 საფრანგეთი
0:1 გიონი (8), 1:1 ფლაუერსი (57პ)
მსაჯი: ჰანსენი (დანია)
03.10.62. შეფილდი. 35 380 მაყურებელი

### საფრანგეთი 5:2 ინგლისი
1:0 ვისნესკი (3), 2:0 დუი (32), 3:0 კოსუ (43), 3:1 რ. სმიტი (57), 3:2 ტამბლინგი (74), 4:2 ვისნესკი (75), 5:2 კოსუ (82)
მსაჯი: კანდლბინდერი (გფრ)
27.02.63. პარიზი. 23 986 მაყურებელი

### პოლონეთი 0:2 ჩრდ. ირლანდია
0:1 დუგანი (15), 0:2 ჰამფრი (55)
მსაჯი: ლეევი (შვედეთი)
10.10.62. ხოჟუვი. 31 500 მაყურებელი

### ჩრდ. ირლანდია 2:0 პოლონეთი
1:0 კროსანი (9), 2:0 ბინგჰემი (64)
მსაჯი: ჰუბერი (შვეიცარია)
28.11.62. ბელფასტი. 28 883 მაყურებელი

### ესპანეთი 6:0 რუმინეთი
1:0 გილიო (7), 2:0 ველოსო (9), 3:0 კოლიარი (17), 4:0, 5:0 გილიო (20, 70), 6:0 ი. ნუნვაილერი (81ს.კ.)
მსაჯი: ჰოული (ინგლისი)
01.11.62. მადრიდი. 51 700 მაყურებელი

### რუმინეთი 3:1 ესპანეთი
1:0 ნ. ტეტარუ (2), 2:0 მანოლაკე (8), 3:0 კონსტანტინი (61), 3:1 ველოსო (65)
მსაჯი: პელომისი (საბერძნეთი)
25.11.62. ბუქარესტი. 72 762 მაყურებელი

### იუგოსლავია 3:2 ბელგია
1:0 სკობლარი (13), 1:1 შტოკმანი (26), 2:1 სკობლარი (32პ), 2:2 ჟურიონი (58), 3:2 ვასოვიჩი (88)
მსაჯი: ობტულოვიჩი (ჩეხოსლოვაკია)
04.11.62. ბელგრადი. 35 000 მაყურებელი

### ბელგია 0:1 იუგოსლავია
0:1 გალიჩი (20)
მსაჯი: კავალიერო (ესპანეთი)
31.03.63. ბრიუსელი 24 583 მაყურებელი

### ბულგარეთი 3:1 პორტუგალია
0:1 ეუსებიო (48), 1:1, 2:1 ასპარუხოვი (65, 72), 3:1 დიევი (77)
მსაჯი: ზოროღლუ (თურქეთი)
07.11.62. სოფია. 31 318 მაყურებელი

### პორტუგალია 3:1 ბულგარეთი
1:0, 2:0 ერნანი (4, 26), 3:0 კოლუნა (54), 3:1 ხ. ილიევი (84)
მსაჯი: ფოშო (საფრანგეთი)
16.12.62. ლისაბონი. 25 836 მაყურებელი

### ბულგარეთი 1:0 პორტუგალია
1:0 ასპარუხოვი (86)
მსაჯი: ადამი (იტალია)
23.01.63. რომი. 2 336 მაყურებელი

### უნგრეთი 3:1 უელსი
1:0 ალბერტი (6), 1:1 მედუინი (22), 2:1 ტიხი (35), 3:1 შანდორი (48)
მსაჯი: კოვალი (პოლონეთი)
07.11.62. ბუდაპეშტი. 40 000 მაყურებელი

### უელსი 1:1 უნგრეთი
1:0 კ. ჯონსი (23პ), 1:1 ტიხი (77პ)
მსაჯი: სპილეინი (ირლანდია)
20.03.63. კარდიფი. 30 413 მაყურებელი

### ჰოლანდია 3:1 შვეიცარია
1:0 ვან დერ ლინდენი (11), 1:1 ჰერტიგი (42), 2:1 სვარტი (75), 3:1 გროოტი (77)
მსაჯი: კამპუშ ჟუაკიმი (პორტუგალია)
11.11.62. ამსტერდამი. 64 350 მაყურებელი

### შვეიცარია 1:1 ჰოლანდია
0:1 კრუივერი (7), 1:1 ალემანი (72)
მსაჯი: კანდლბინდერი (გფრ)
31.03.63. ბერნი. 31 800 მაყურებელი

### გდრ 2:1 ჩეხოსლოვაკია
1:0 ერლერი (60), 2:0 ლიბრეხტი (80პ), 2:1 კუჩერა (90)
მსაჯი: ალიმოვი (სსრკ)
21.11.62. ბერლინი. 22 100 მაყურებელი

### ჩეხოსლოვაკია 1:1 გდრ
1:0 მაშეკი (66), 1:1 პ. დუკე (85)
მსაჯი: ბალა (უნგრეთი)
31.03.63. პრაღა. 35 000 მაყურებელი

### იტალია 6:0 თურქეთი
1:0 რივერა (15), 2:0, 3:0, 4:0 ორლანდო (22, 23, 36), 5:0 რივერა (46), 6:0 ორლანდო (87)
მსაჯი: ვან ნუფელი (ბელგია)
02.12.62. ბოლონია. 26 600 მაყურებელი

### თურქეთი 0:1 იტალია
0:1 სორმანი (83)
მსაჯი: რუმენჩევი (ბულგარეთი)
27.03.63. სტამბოლი. 27 300 მაყურებელი

### ალბანეთი — საბერძნეთი
*საბერძნეთის ეროვნულმა ნაკრებმა თამაშზე უარი განაცხადა*

## მერვედფინალი

### ესპანეთი 1:1 ჩრდ. ირლანდია
1:0 ამანსიო (58), 1:1 ვ. ირვინი (76)
მსაჯი: იონი (იტალია)
30.05.63. ბილბაო. 27 960 მაყურებელი

### ჩრდ. ირლანდია 0:1 ესპანეთი
0:1 ხენტო (66)
მსაჯი: ვან ლეევენი (ჰოლანდია)
30.10.63. ბელფასტი. 45 809 მაყურებელი

### იუგოსლავია 0:0 შვედეთი
მსაჯი: კაინერი (ავსტრია)
19.06.63. ბელგრადი. 25 098 მაყურებელი

### შვედეთი 3:2 იუგოსლავია
0:1 ზამბატა (23), 1:1, 2:1 პერსონი (31, 60), 2:2 გალიჩი (61), 3:2 ბილდი (70)
მსაჯი: ტეილორი (ინგლისი)
18.09.63. მალმიო. 20 774 მაყურებელი

### დანია 4:0 ალბანეთი
1:0 პეტერსენი (17პ), 2:0 უ. მადსენ I (25), 3:0 კლაუზენი (35), 4:0 ენოკსენი (50)
მსაჯი: ბუსტრემი (შვედეთი)
29.06.63. კოპენჰაგენი. 25 200 მაყურებელი

### ალბანეთი 1:0 დანია
1:0 პანო (3)
მსაჯი: ნაუდი (მალტა)
30.10.63. ტირანა. 27 765 მაყურებელი

### ჰოლანდია 1:1 ლუქსემბურგი
1:0 ნანინგა (5), 1:1 მაი (33)
მსაჯი: ბლავიე (ბელგია)
11.09.63. ამსტერდამი. 37 000 მაყურებელი

### ჰოლანდია 1:2 ლუქსემბურგი
0:1 დიმერი (20), 1:1 კრუივერი (31), 1:2 დიმერი (67)
მსაჯი: ბუა (საფრანგეთი)
30.10.63. როტერდამი. 42 400 მაყურებელი

### ავსტრია 0:0 ირლანდია
მსაჯი: გერე (უნგრეთი)
25.09.63. ვენა. 26 741 მაყურებელი

### ირლანდია 3:2 ავსტრია
0:1 კოლეზნიკი (38), 1:1 კანტუელი (45), 2:1 ფოგარტი (64), 2:2 ფლეგელი (83), 3:2 კანტუელი (90პ)
მსაჯი: პოულსენი (დანია)
13.10.63. დუბლინი. 39 963 მაყურებელი

### ბულგარეთი 1:0 საფრანგეთი
1:0 დიევი (24)
მსაჯი: ტალუ (თურქეთი)
29.09.63. სოფია. 50 000 მაყურებელი

### საფრანგეთი 3:1 ბულგარეთი
1:0 გიონი (44), 1:1 იაკიმოვი (75), 2:1 ერბენი (78), 3:1 გიონი (81)
მსაჯი: დე მენდიბილი (იტალია)
26.10.63. პარიზი. 32 223 მაყურებელი

### სსრკ 2:0 იტალია
1:0 პონედელნიკი (22), 2:0 ჩისლენკო (42)
სსრკ: ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ, დუბინსკი, შესტერნიოვი, კრუტიკოვი, ვორონინი, კოროლენკოვი, ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ, ჩისლენკო, პონედელნიკი, ვ. ივანოვი, ჰუსაინოვი
მწვრთნელი: კონსტანტინ ბესკოვი
იტალია: ნეგრი, ჩ. მალდინი, ფაკეტი, გუარნერი, სალვატორე, ტრაპატონი, ბულგარელი, კორსო, სორმანი, რივერა, პასკუტი
მწვრთნელი: ედმონდო ფაბრი
მსაჯი: ბანასიუკი (პოლონეთი)
13.10.63. მოსკოვი. 102 400 მაყურებელი

### იტალია 1:1 სსრკ
0:1 გუსაროვი (33), 1:1 რივერა (90)
იტალია: სარტი, ბურგნიჩი, ფაკეტი, გუარნერი, სალვატორე, ტრაპატონი, დომენგინი, ბულგარელი, მაცოლა, რივერა, მენიკელი
მწვრთნელი: ედმონდო ფაბრი
სსრკ: იაშინი, მუდრიკი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, კრუტიკოვი, ვორონინი, კოროლენკოვი, ჩისლენკო, გუსაროვი, ვ. ივანოვი, ჰუსაინოვი
მწვრთნელი: კონსტანტინ ბესკოვი
მსაჯი: მელე (შვეიცარია)
10.11.63. რომი. 83 000 მაყურებელი

### გდრ 1:2 უნგრეთი
0:1 ბენე (17), 1:1 ნოლდნერი (51), 1:2 რაკოში (80)
მსაჯი: ბელოვი (სსრკ)
19.10.63. ბერლინი. 33 400 მაყურებელი

### უნგრეთი 3:3 გდრ
1:0 ბენე (7), 1:1 ჰაინე (12), 2:1 შანდორი (17), 2:2 რ. დუკე (26), 3:2 შოიმოში (51პ), 3:3 ერლერი (81)
მსაჯი: ნედელკოვსკი (იუგოსლავია)
03.11.63. ბუდაპეშტი. 35 400 მაყურებელი

## მეოთხედფინალი

### ლუქსემბურგი 3:3 დანია
1:0 პ. კლეინი (1), 1:1 უ. მადსენ I (10), 2:1 პილო (25), 2:2, 2:3 უ. მადსენ I (30, 46), 3:3 პ. კლეინი (49)
ლუქსემბურგი: შმიდტი, ბრენერი, ბროსიუსი, ჰოფშტეტერი, ლეონარი, კონტერი, ჟ. კლეინი, მაი, პილო, ა. შმიტი, პ. კლეინი
მწვრთნელი: რობერტ ჰაინცი (გფრ)
დანია: ე. სერენსენი, იოჰანსენი, ი. ჰანსენი, ბ. ჰანსენი, დ. მადსენ I, პეტერსენი, კ. ბერტელსენი, ტორსტი, უ. მადსენ I, უ. სერენსენი, დ. დანიელსენი
მწვრთნელი: პოულ პეტერსენი
მსაჯი: შვინტე (საფრანგეთი)
04.12.63. ლუქსემბურგი. 6 921 მაყურებელი

### დანია 2:2 ლუქსემბურგი
0:1 ლეონარი (12), 1:1, 2:1 უ. მადსენ I (15, 70), 2:2 შმიტი (84)
დანია: ე. სერენსენი, იოჰანსენი, ი. ჰანსენი, ბ. ჰანსენი, დ. მადსენ I, პეტერსენი, კ. ბერტელსენი, დ. დანიელსენი, უ. მადსენ I, უ. სერენსენი, ენოკსენი
მწვრთნელი: პოულ პეტერსენი
ლუქსემბურგი: შმიდტი, ბრენერი, ბროსიუსი, ჰოფშტეტერი, ლეონარი, კონტერი, ჟ. კლეინი, მაი, პილო, ა. შმიტი, პ. კლეინი
მწვრთნელი: რობერტ ჰაინცი (გფრ)
მსაჯი: ბარბერანი (საფრანგეთი)
10.12.63. კოპენჰაგენი. 36 294 მაყურებელი

### დანია 1:0 ლუქსემბურგი
1:0 უ. მადსენ I (43)
დანია: ე. სერენსენი, იოჰანსენი, ი. ჰანსენი, ბ. ჰანსენი, დ. მადსენ I, პეტერსენი, კ. ბერტელსენი, ტორსტი, უ. მადსენ I, ენოკსენი, დ. დანიელსენი
მწვრთნელი: პოულ პეტერსენი
ლუქსემბურგი: შმიდტი, ბრენერი, ბროსიუსი, ჰოფშტეტერი, ლეონარი, კონტერი, ჟ. კლეინი, მაი, პილო, ა. შმიტი, პ. კლეინი
მწვრთნელი: რობერტ ჰაინცი (გფრ)
მსაჯი: როომერი (ჰოლანდია)
18.12.63 ამსტერდამი. 5 700 მაყურებელი

### ესპანეთი 5:1 ირლანდია
1:0 ამანსიო (12), 2:0 ფუსტე (15), 2:1 მაკევოი (21), 3:1 ამანსიო (28), 4:1, 5:1 მარსელინო (32, 88)
ესპანეთი: ირიბარი, რივილია, ოლიველია, კალიეხა, სოკო, ფუსტე, ამანსიო, პერედა, მარსელინო, ვილია, ლაპეტრა
მწვრთნელი: ხოსე ვილიალონგა
ირლანდია: კელი, ფოლი, ტრეინორი, რ. ბრეიდი, ჰერლი, მიგენი, ჯაილზი, მაკევოი, ჰეილი, ფოგარტი, ჰავერტი
მწვრთნელები: სასელექციო კომიტეტი
მსაჯი: ვან ნუფელი (ბელგია)
11.03.64. სევილია. 27 137 მაყურებელი

### ირლანდია 0:2 ესპანეთი
0:1, 0:2 საბალია (25, 88)
ირლანდია: კელი, ე. დანი, ბრაუნი, რ. ბრეიდი, ჰერლი, ფალემი, ჯაილზი, მაკევოი, კანტუელი, ტერნერი, ჰეილი
მწვრთნელები: სასელექციო კომიტეტი
ესპანეთი: ირიბარი, რივილია, ოლიველია, კალიეხა, სოკო, ფუსტე, საბალია, პერედა, მარსელინო, ვილია, ლაპეტრა
მწვრთნელი: ხოსე ვილიალონგა
მსაჯი: ვერსიპი (ბელგია)
08.04.64. დუბლინი. 38 027 მაყურებელი

### საფრანგეთი 1:3 უნგრეთი
0:1 ალბერტი (15), 0:2, 0:3 ტიხი (16, 69), 1:3 კოსუ (73)
საფრანგეთი: ბერნარი, კასოლარი, მიშლენი, შორდა, არტელეზა, ბონელი, მიულერი, ერბენი, ლეში, კომბენი, კოსუ
მწვრთნელი: ანრი გერენი
უნგრეთი: სენტიმიხაი, მატრაი, მესეი, შაროში, ი. ნადი, შიპოში, გერეჩი, რაკოში, ალბერტი, ტიხი, ფენვეში
მწვრთნელი: ლაიოშ ბაროტი
მსაჯი: იონი (იტალია)
25.04.64. პარიზი. 35 274 მაყურებელი

### უნგრეთი 2:1 საფრანგეთი
0:1 კომბენი (2), 1:1 შიპოში (24), 2:1 ბენე (55)
უნგრეთი: სენტიმიხაი, მატრაი, მესეი, შაროში, ი. ნადი, შიპოში, შანდორი, რაკოში, ტიხი, ბენე, ფენვეში
მწვრთნელი: ლაიოშ ბაროტი
საფრანგეთი: ბერნარი, კასოლარი, შარლ-ალფრედი, შორდა, არტელეზა, სტაკო, დი ნალო, ბონელი, ლეში, კომბენი, რამბერი
მწვრთნელი: ანრი გერენი
მსაჯი: ლობელო (იტალია)
23.05.64. ბუდაპეშტი. 70 200 მაყურებელი

### შვედეთი 1:1 სსრკ
0:1 ივანოვი (62), 1:1 ჰამრინი (87)
შვედეთი: ა. არვიდსონი, ბერგმარკი, ვინგი, როზანდერი, ო. იუჰანსონი, მილდი, ჰამრინი, ბილდი, სიმონსონი, მარტინსონი, ე. პერსონი
მწვრთნელი: ლენარტ ნიმანი
სსრკ: იაშინი, მუდრიკი, შესტერნიოვი, კორნეევი, გლოტოვი, ვორონინი, გუსაროვი, ჩისლენკო, ვ. ივანოვი, მალოფეევი, კოროლენკოვი
მწვრთნელი: კონსტანტინ ბესკოვი
მსაჯი: ფინი (ინგლისი)
13.05.64. სტოკჰოლმი. 38 000 მაყურებელი

### სსრკ 3:1 შვედეთი
1:0, 2:0 პონედელნიკი (32, 56), 2:1 ჰამრინი (78), 3:1 ვორონინი (83)
სსრკ: იაშინი, მუდრიკი, შესტერნიოვი, კორნეევი, გლოტოვი, ვორონინი, გუსაროვი, ჩისლენკო, ვ. ივანოვი, პონედელნიკი, ჰუსაინოვი
მწვრთნელი: კონსტანტინ ბესკოვი
შვედეთი: ა. არვიდსონი, ბერგმარკი, ვინგი, როზანდერი, ა. სვენსონი, მილდი, ჰამრინი, ბილდი, სიმონსონი, მარტინსონი, ე. პერსონი
მწვრთნელი: ლენარტ ნიმანი
მსაჯი: ჰოლანდი (ინგლისი)
27.05.64. მოსკოვი. 102 000 მაყურებელი

## ნახევარფინალი

### ესპანეთი 2:1დ.დ. (1:1) უნგრეთი
1:0 პერედა (36), 1:1 ბენე (86), 2:1 ამანსიო (112)
ესპანეთი: ირიბარი, რივილია, ოლიველია, სოკო, კალიეხა, ფუსტე, პერედა, ამანსიო, მარსელინო, სუარესი, ლაპეტრა
მწვრთნელი: ხოსე ვილიალონგა
უნგრეთი: სენტიმიხაი, მატრაი, მესეი, შიპოში, შაროში, ი. ნადი, კომორა, ბენე, ალბერტი, ტიხი, ფენვეში
მწვრთნელი: ლაიოშ ბაროტი
მსაჯი: ბლავიე (ბელგია)
17.06.64. მადრიდი. 75 000 მაყურებელი

### სსრკ 3:0 დანია
1:0 ვორონინი (19), 2:0 პონედელნიკი (40), 3:0 ივანოვი (88)
სსრკ: იაშინი, მუდრიკი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, ანიჩკინი, ვორონინი, გუსაროვი, ჩისლენკო, ვ. ივანოვი, პონედელნიკი, ჰუსაინოვი
მწვრთნელი: კონსტანტინ ბესკოვი
დანია: ლ. ნილსენი, ი. ჰანსენი, კ. ჰანსენი, ბ. ჰანსენი, ბ. ლარსენი, ე. ნილსენი, კ. ბერტელსენი, ტორსტი, უ. მადსენ I, უ. სერენსენი, დ. დანიელსენი
მწვრთნელი: პოულ პეტერსენი
მსაჯი: ლობელო (იტალია)
17.06.64. ბარსელონა. 38 556 მაყურებელი

## მატჩი მე-3 ადგილისთვის

### უნგრეთი 3:1დ.დ. (1:1) დანია
1:0 ბენე (11). 1:1 ბერტელსენი (82), 2:1, 3:1 ნოვაკი (107პ, 111)
უნგრეთი: სენტიმიხაი, ნოვაკი, მესეი, იხასი, შოიმოში, შიპოში, ი. ფარკაში, ზ. ვარგა, ალბერტი, ბენე, ფენვეში
მწვრთნელი: ლაიოშ ბაროტი
დანია: ლ. ნილსენი, ვოლმარი, კ. ჰანსენი, ბ. ჰანსენი, ბ. ლარსენი, ე. ნილსენი, კ. ბერტელსენი, ტორსტი, უ. მადსენ I, უ. სერენსენი, დ. დანიელსენი
მწვრთნელი: პოულ პეტერსენი
მსაჯი: მელე (შვეიცარია)
20.06.64. ბარსელონა. 3 869 მაყურებელი

## ფინალი

### ესპანეთი 2:1 სსრკ
1:0 პერედა (7), 1:1 ჰუსაინოვი (8), 2:1 მარსელინო (84)
ესპანეთი: ირიბარი, რივილია, ოლიველია, სოკო, კალიეხა, ფუსტე, პერედა, ამანსიო, მარსელინო, სუარესი, ლაპეტრა
მწვრთნელი: ხოსე ვილიალონგა
სსრკ: იაშინი, მუდრიკი, შუსტიკოვი, შესტერნიოვი, ანიჩკინი, ვორონინი, კორნეევი, ჩისლენკო, ვ. ივანოვი, პონედელნიკი, ჰუსაინოვი
მწვრთნელი: კონსტანტინ ბესკოვი
მსაჯი: ჰოლანდი (ინგლისი)
21.06.64. მადრიდი. 112 000 მაყურებელი
*ნახევარფინალები ჩატარდა ესპანეთში*



სარბიელის არქივიდან

ევროპის 1964 წლის თასის მფლობელი ესპანეთის ნაკრები. მარცხნიდან დგანან: ირიბარი, სოკო, ოლიველია, ფუსტე, კალიეხა, რივილია;
სხედან: ამანსიო, პერედა, მარსელინო, სუარესი, ლაპეტრა

სტატისტიკა მოამზადა
გიორგი ვაშაძიძე

გიორგი დარჯანია



სარბიელის არქივიდან

1968 წლის 10 ივნისი. ფინალი. გადათამაშება. ჯიჯი რივას (მარჯვნივ) პირველი ბურთი გააქვს იუგოსლავიელთა კარში

# არიოლი თუ რეშკა?..

### მესამე, ანუ პირველი

ევროპის თასის მესამე გათამაშება ახალი ფორმულით ჩატარდა. მონაწილე გუნდები პირველ ეტაპზე რვა ჯგუფად დაყვეს. ჯგუფებში გამარჯვებულები მეოთხედფინალში გადიოდნენ. ფინალური ეტაპის გამართვის წესი იგივე დარჩა. მასპინძელი ქვეყანა ოთხ შეხვედრას — ნახევარფინალებს, მატჩს მესამე ადგილისთვის და ფინალს უმასპინძლებდა.

რაკილა უეფამ სათასო სისტემაზე უარი თქვა, გადაწყდა, ტურნირს სახელი შეცვლოდა. ამიერიდან გუნდები ევროპის თასის ნაცვლად ევროპის ჩემპიონობისთვის ეცილებოდნენ ერთმანეთს და ამ ტიტულისთვის ბრძოლა დღემდე გრძელდება.

მონაწილე ქვეყნების რაოდენობა კი კვლავ გაიზარდა. პირველ გათამაშებაში ისინი ჩვიდმეტნი იყვნენ, მეორეში — ოცდაცხრა. ამჯერად ოცდათერთმეტმა ქვეყანამ გამოთქვა ანრი დელონეს თასის დაუფლების სურვილი. ოთხი წლით ადრე უარნათქვამი დასავლეთ გერმანია, შოტლანდია, ფინეთი და კვიპროსი გონს მოეგნენ და საერთო ევროპულ ზეიმს შეუერთდნენ. ისლანდია და მალტა კი განზე დარჩნენ. როგორც ჩანს, წინა პირველობაზე მეთექვსმეტედფინალშივე განცდილმა მარცხმა მათზე განსაკუთრებულად იმოქმედა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უკლებლივ ყველა ევროპული სახელმწიფო არც ამჯერად შეიკრიბა, პროგრესი აშკარაა — კონტინენტზე არავინ დარჩენილა, ევროპის თასსა თუ ჩემპიონატში მონაწილეობა რომ არ მიეღოს.

მოკლედ, წილისყრა შედგა. შედეგად შვიდი ოთხგუნდიანი და ერთი სამგუნდიანი ჯგუფი შეიქმნა. აქვე ერთი საინტერესო ამბავიც. წილისყრა ბოლო, მერვე ჯგუფს არ შეხებია. უეფამ ბრიტანელთა თხოვნა გაითვალისწინა და ინგლისი, ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია და უელსი პირდაპირ ერთ ჯგუფში ჩასვა. დღევანდელი გადასახედიდან გასაკვირია — გაერთიანებული სამეფოს ქვეშევრდომები ცდილობენ, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე რამდენიმე გუნდი გაიყვანონ. მაშინ კი ისინი ერთ გუნდზეც ყაბულს იყვნენ. მიზეზი ასეთი გახლდათ — ევროპის ჩემპიონატის მერვე ჯგუფი იმავდროულად ბრიტანეთის პირველობადაც იქცა.

### მეოთხედფინალისკენ... თბილისის გავლით

წილისყრის შედეგები სამართლიანი აღმოჩნდა. ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ჯგუფი განსაკუთრებით ძლიერი ან სუსტი იყო. ყველას თავისი ფავორიტი და აუტსაიდერი ჰყავდა. ესპანეთი, იუგოსლავია, უნგრეთი, იტალია, საფრანგეთი და ინგლისი მართლაც საუკეთესონი იყვნენ თავ-თავიანთ ჯგუფებში და პირველ ადგილზე რომ ვერ გასულიყვნენ, საცოდაობა იქნებოდა. რამდენადმე მოულოდნელი იყო მეორე ჯგუფში ბულგარელთა გამარჯვება. მეორეადგილოსან პორტუგალიას შავიზღვისპირელებმა ოთხი წლით ადრეც, ევროპის თასის მეთექვსმეტედფინალში მოუგეს და ამჯერადაც იგივე გაიმეორეს. მოულოდნელი კი აი, რა გახლდათ. იმხანად დასრულებულ ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიელები ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონენ. მსოფლიოს მესამე პრიზიორი კი ევროპის რვა საუკეთესოში როგორ ვერ უნდა მოხვდეს. აქ არ იქნება, ხორვატთა ამბავი არ გაგვახსენდეს — საფრანგეთის ტრიუმფით მოვლილები ხომ ბელგია — ჰოლანდიის მიღმა დარჩნენ.

შვიდი მეოთხედფინალისტი ვახსენეთ და ბარემ მერვეზეც ვთქვათ. საბჭოთა კავშირის ნაკრების ამბავი, ცხადია, განსაკუთრებით ქართველ ფეხბურთელთა გამო გვაინტერესებს. მით უმეტეს, საბჭოელებმა მეორე საშინაო მატჩი ბერძნების წინააღმდეგ 1967 წლის 16 ივლისს თბილისში გამართეს. თუმცა იქამდე ავსტრიის ნაკრებთან შეხვედრა იყო. ეს თამაში მოსკოვში ჩატარდა და პირველი ტაიმის შემდეგ საბჭოთა კავშირი 3:1 იგებდა. გოლები მალოფეევმა, ბიშოვეცმა და ჩისლენკომ, ხოლო ავსტრიელთაგან ჰოფმა გაიტანეს. ევროპის ვიცე-ჩემპიონთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა... გარდა ავსტრიელებისა. დაიწყო მეორე ტაიმი და სამწუთიან მონაკვეთში მათ ორი ბურთის გატანა და ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. მასპინძლები შეშფოთდნენ, დრო გადიოდა და გამარჯვება ხელიდან ეცლებოდათ. მხოლოდ 81-ე წუთზე შეაგდო ლეგენდარულმა ედუარდ სტრელცოვმა მეოთხე გოლი.

შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, თბილისი იყო. 45 ათასმა ქართველმა გულშემატკივარმა ბერძენთა განადგურება იხილა, თუმცა პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. მოსახდენი შესვენების შემდეგ მოხდა. ბანიშევსკიმ (ორჯერ), საბომ და ჩისლენკომ ოთხჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი.

საბოლოოდ საბჭოთა კავშირმა ჯგუფში ექვსი შეხვედრიდან ხუთი მოიგო და პირველ ადგილზე დაუბრკოლებლად გავიდა. აქვე აღვნიშნოთ, რომ იმავე 1967 წლის 30 აგვისტოს ფინელთა კარში პირველი გოლი მურთაზ ხურცილავამ გაიტანა.

### მეოთხედფინალში

პირველად ფეხბურთის ისტორიაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი (ინგლისი) ევროპის მოქმედ ჩემპიონს (ესპანეთი) შეხვდა. პირველი მატჩი ლონდონში, „უემბლიზე“ გაიმართა და ერთადერთი გოლი ბობი ჩარლტონმა გაიტანა. საპასუხო თამაშმა „ბერნაბეუზე“ 120 ათასი მაყურებელი მიიზიდა. ესპანელები რევანშისთვის ემზადებოდნენ, რევანში კი არ შედგა. თითქოს გულმა უგრძნოო, გენერალისიმუსი ფრანკო ესპანეთის ნაკრების მარცხს არ დასწრებია. ინგლისელები თავადაც არ ელოდნენ — მათ მცველებს საქმე, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ. მატჩი საბოლოოდ სტუმრებმა 2:1 მოიგეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

იტალიელებმა სოფიაში ყოვლად სულელური გოლი გაუშვეს და ბულგარეთმა გამარჯვება იზეიმა. საპასუხო შეხვედრაში ძალები მეტად არათანაბარი გახლდათ. ნეაპოლში ჩასულ ბულგარელებს უპირველესად შიშის გრძნობა უნდა დაეძლიათ, იტალიელი ტიფოზები აგრესიული შეძახილებით ცდილობდნენ მეტოქის გატეხვას. ცოტანიც როდი იყვნენ — 84 ათასი კაცი შეკრებილიყო. ბულგარელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იოლად არ დანებებულან. ისინი ბევრსაც უტევდნენ, თუმცა იერიშებს სიმწვავე აკლდა. მასპინძლებმა კი ორი გოლის შეგდება მოახერხეს და ერთი ნაბიჯით წინ წაიწიეს.

ბელგრადში სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები ითვლიდნენ — ერთი, ორი, სამი... მიხვდებით, ფრანგთა კარში გატანილ გოლებს ანგარიშობდნენ. თუმცა ამ სასიამოვნო პროცედურის ნაადრევად შეწყვეტა მოუხდათ — მეორე ტაიმის დასაწყისშივე იუგოსლავიელებმა მეხუთე გაიტანეს და გაჩერდნენ. ალბათ, ძალებს თუ ზოგავდნენ, რადგან მთელი ტაიმის განმავლობაში ფრანგთა ნახევარზე გადასვლაც კი არ უცდიათ.

ევროპის თასის პირველ გათამაშებაში საბჭოთა კავშირი და უნგრეთი მერვედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. საბჭოელებმა მაშინ ორივე მატჩი მოიგეს, ხოლო ერთი გოლი სლავა მეტრეველმა შეაგდო. ამჯერად უნგრელები უკეთ გამოიყურებოდნენ და ბუდაპეშტში 2:0 გაიმარჯვეს. საპასუხო შეხვედრაში საბჭოელები რთული ამოცანის წინაშე იდგნენ.

უნგრელები, ცხადია, ორბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობდნენ. იქნებ მიზნისთვის მიეღწიათ კიდეც, მაგრამ შოიმოშიმ მეგობრები დაალალატა — ავტოგოლი გაიტანა. მეორე ტაიმში მურთაზ ხურცილავამ თამაშში გარდატეხა შეიტანა. მან მეორე ბურთი შეაგდო, რასაც ბიშოვეცის მესამე მოჰყვა — საბჭოთა კავშირიც ნახევარფინალში გავიდა.

უეფამ ფინალური ეტაპის მასპინძლად იტალია აირჩია. გუნდები კი ასე დაწყვილდნენ: იტალია და საბჭოთა კავშირი ნეაპოლში შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ინგლისი და იუგოსლავია — ფლორენციაში.

### ფინალში გავიდა... „რეშკა“

იქნებ „არიოლიც“ იყო, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი შედეგია. იქამდე კი აი, რა იყო.

იტალია — საბჭოთა კავშირის მატჩს მოუთმენლად ელოდნენ. წინა გათამაშებაზე მათი შეხვედრები ახსოვდათ და იმიტომ. წინასწარ ამბობდნენ, ეს თამაში ფეხბურთის კლასიკად იქცევაო. სხვაგვარად მოხდა. შეხვედრა დაძაბულად და საინტერესოდ კი წარიმართა, მაგრამ კლასიკამდე ბევრი აკლდა. იმ მატჩზე დამსწრე უცხოელმა სპეციალისტებმა მიზეზსაც უმალ მიაკვლიეს — ჩისლენკოს და ხურცილავას არ უთამაშიათ. იქამდე ოთხი დღით ადრე საბჭოთა კავშირი ოლიმპიური თამაშების ეგიდით ჩეხოსლოვაკიას შეხვდა და ეს ფეხბურთელებიც მაშინ დაშავდნენ. 90 წუთი ისე მიილია, გოლი არ გასულა. ასევე უგოლო იყო დამატებითი 30 წუთიც.

ერთიანი წესის არარსებობა უნდა ვახსენოთ. უეფა ფრის შემთხვევაში სხვადასხვა წესს მიმართავდა. ხან დამატებითი დრო ინიშნებოდა, ზოგჯერაც გადათამაშება. ამჯერად ევროპული ფეხბურთის მამებმა მეტად ორიგინალურ ხერხს მიმართეს. თუმცა ორიგინალობა ყოველთვის კარგს არ ნიშნავს. მოკლედ, კენჭი იყარა. ფორტუნამ მასპინძლებს გაუღიმა და ისინი ფინალში გავიდნენ. ერთიც დავამატოთ. დღეს, როდესაც მატჩისშემდგომ პენალტების სერიაზე ვსაუბრობთ, უმეტესწილად უარყოფით დამოკიდებულებას ვავლენთ და მას „საფეხბურთო ლატარეას“ ვუწოდებთ. არადა, ნამდვილი ლატარეა 1968 წლის 5 ივნისს მოეწყო.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითრის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიყვარს გოგოები



ალექს კორეტხა

*ალექს კორეტხა სხვა კოლეგებისგან მარტო უზადო ბექჰენდით ან შეუდარებელი გამძლეობით კი არა, მეტად გულღია და კეთილგანწყობილი ხასიათითაც გამოირჩევა. აბა, სხვა რომელი ჩოგბურთელი გადამხტარა ბადის მეორე მხარეს დიდი სლემის ტურნირის ფინალის წაგების შემდეგ, მეტოქეს გადაჰხვევია და ისე მიულოცია გამარჯვება? კორეტხა ასე 1998 წელს მოიქცა როლან გაროსზე.*

*მსოფლიოს ჩემპიონატისა და რამდენიმე მსხვილი ტურნირის მოგების შემდეგ, ესპანელი შარშან, სეზონის დასაწყისში კლასიფიკაციაში პირველობასთანაც ახლოს იყო, მაგრამ, მოკლედ რომ ვთქვათ, გადაიწვა და კარგა ხნის მანძილზე ენერგიისგან დაცლილი ჩოგბურთისგან ისვენებდა.*

*თუმცა კორეტხას თამაში არ დავიწყებია, რაც ამ რამდენიმე დღის წინ ინდიან უელსის პრესტიჟული ტურნირის მოგებითაც დაამტკიცა*

**— რისი ბრალი იყო შარშანდელი ჩავარდნა, რაიმე ვირუსი ხომ არ შეგეყარათ?**

— არა, თავიდან ექიმებს მართლაც ეგონათ, რომ ავად ვიყავი, მაგრამ სინამდვილეში ძალიან გადავიღალე ფსიქოლოგიურად და ფიზიკურადაც. იმიტომ ვერ ვთამაშობდი. ჩოგბურთი ესპანეთში ძალიან პოპულარული ხდება, ჩვენდა საბედნიეროდ. ამიტომ 1998-ში ჩემი წარმატებების შემდეგ უამრავი ინტერვიუს მიცემა, სატელევიზიო შოუში გამოჩენა, ფოტოგადაღებები, რეკლამებში მონაწილეობა მომიხდა.

ყველაფერი ეს კარგი და სასიამოვნოა, მაგრამ ცოტა დრო პირადი ცხოვრებისთვისაც ხომ უნდა დაგრჩეს. ქუჩაშიც ვერ გავდიოდი, რადგან იქ ყველა მცნობდა. თავიდან ყველაფერ ამას ვერ შევეჩვიე და ასეთმა გარემომ უსაშველოდ დამღალა. მინდოდა, დამესვენა, მაგრამ დროს ვერასოდეს ვპოულობდი. შარშან ამიტომაც გამიჭირდა ძალიან.

**— იმ რთულ წუთებში როდესმე გიფიქრიათ, მეტი აღარ შემიძლია, ჯობს სხვა პროფესია ვეძებოო?**

— არა, მე ჩოგბურთი ძალიან მიყვარს. როგორც არ უნდა მიჭირდეს და სულ ვაგებდე, ამას მაინც არ ვიტყვი. ზოგჯერ კორტზე ყოფნას, რა თქმა უნდა, პლაჟზე კოტრიალი მირჩევნია, მაგრამ ამისი დრო მაშინაც მექნება, სპორტიდან რომ წავალ. შარშან მართლაც მსურდა ნორმალური ადამიანივით ცხოვრება, გართობა, მაგრამ პენსიაზე გასვლაზე არც მიფიქრია. მე მჭირდება ძალა, ადრენალინი, რაც მნიშვნელოვანი ქულების გათამაშების დროს გამოიყოფა, ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია, რაღაც ნარკოტიკის მაგვარი.

**— მაშ, დარწმუნებული იყავით, რომ ადრე თუ გვიან ისევ ძველ ფორმას დაიბრუნებდით?**

— თუ დიდი ტურნირი ერთხელ მოგიგია, ყოველთვის ფიქრობ, რომ ამის გაკეთებას კიდევ შეძლებ. მთავარია, საკუთარი ძალების გწამდეს. ყველაზე ძნელი ისევ იმ მომაბეზრებელ რიტმში ცხოვრება, მუდმივად ვარჯიში, დასაძინებლად ადრე დაწოლა, ყოველ საღამოს პიურეს ჭამა, მატჩის წინ და შემდეგ მოთელვა და მასაჟის გაკეთებაა. ყველაფერ ამას უნდა შეეჩვიო. ზოგჯერ ძალიან გბეზრდება და სადმე სხვაგან ყოფნა გინდა, მაგრამ ტიტულის მოგება ამართლებს მსხვერპლს.

**— რითი აღიდგინეთ ძველი ენერგია და ენთუზიაზმი?**

— ჯერ ერთი, შარშან ძალიან ცოტა ვითამაშე, ნოემბერში კი მე და ალბერტ კოსტა გელფრენდებთან ერთად დასასვენებლად წავედით. გვინდოდა, კარგი დრო გვეტარებინა, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, რისი შესაძლებლობაც ხშირად არ გვეძლევა. მერე კი, პირველი დეკემბრიდან ისევ დავბრუნდი და განახლებული ძალით დავიწყე ვარჯიში ფიზმომზადების ახალ მწვრთნელთან ერთად. ყველაფერი კარგად დავგეგმეთ და ვფიქრობ, მძიმე შრომის ნაყოფიც თანდათან ჩანს.

**— სად გაატარეთ შვებულება კოსტასთან ერთად?**

— არ გვინდოდა თვითმფრინავით სადმე შორს გვემგზავრა, ამიტომ ესპანეთის სამხრეთში, მალაგაში წავედით. გოლფი ვითამაშეთ, უფრო სწორად, ვიცოდვილეთ, გელფრენდები კი აუზზე დადიოდნენ და მალაზიებს ესხმოდნენ თავს. თავადაც მოგეხსენებათ, ამ მხრივ ქალები როგორები არიან. საბედნიეროდ, ისინი კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს.

ქალები ზოგჯერ რამდენიმე დღეში წაკინკლავდებიან ხოლმე, მაგალითად, რაიმე კაბის გამო. ჩვენ, კაცები, სხვანაირები ვართ, კარგ ურთიერთობას სამუდამოდ ვინარჩუნებთ. კოსტას და ჩემი გელფრენდები კი ჯერჯერობით არ ჩხუბობენ. ჩვენ გავაფრთხილეთ ისინი, რომ გვერდიგვერდ სახლების ყიდვას ვაპირებთ და ერთმანეთი უნდა აიტანონ. არავითარი „მე მისი აბაზანა უფრო მომწონს, ეს დერეფანი თვალში არ მომდის" და სხვა ამგვარი. გვინდა, სულ მეგობრები ვიყოთ და შურით არასოდეს შევხედოთ ერთმანეთს.

**— იმის თქმა გინდათ, რომ ქალები ვერ მეგობრობენ?**

— არა, ყველა ქალი არა, ზოგადად არ ვამბობ, მხოლოდ ის ვთქვი, რომ ზოგჯერ ბრაზდებიანმეთქი, თანაც რაიმე წვრილმანის გამო. მე მიყვარს ქალები, განსაკუთრებით გელფრენდი და დედაჩემი.

**— ესე იგი, ქალების საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ?**

— რა თქმა უნდა, არა.

**— კარგი, ჩოგბურთს დავუბრუნდეთ. მატჩების შემდეგ თქვენთან ხშირად მოდიან სხვა ესპანელი მოთამაშეები და ერთად საუბრობთ, სადილობთ. ამ დროს რაზე ლაპარაკობთ, ჩოგბურთზე, სტრატეგიაზე?**

— სხვა მოთამაშეებთან?

**— დიახ.**

— ჩვენ ყველაფერზე ვსაუბრობთ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. აი, თქვენ რაზე ესაუბრებით მეგობარს? ჩვენ ძირითადად ფეხბურთზე, დალლილობაზე ვლაპარაკობთ.

**— თანამემამულეებთან ხშირი ურთიერთობა გეხმარებათ სხვა ქვეყანაში ყოფნის დროს?**

— ზოგჯერ — კი, ზოგჯერ — არა. ძნელია, როდესაც კორტზე მეგობარს ხვდები და ის შენი მეტოქეა. მაგრამ უნდა იცოდე, რა გინდა. შენი სამუშაო პროფესიულად უნდა შეასრულო და დაივიწყო მეტოქის შესახებ. მატჩის შემდეგ კი ისევ მეგობრები იქნებით. ერთი კვირის წინ სკოტსდეილში მე და კოსტა ყოველდღე ერთად ვსადილობდით, მერე კი მეოთხედფინალში შევხვდით ერთმანეთს. წინა საღამოს სასტუმროს ნომერში ერთად ვჭამეთ პიცა, ჯეიმს ბონდს ვუყურეთ და კარგად მოვულხინეთ. მეორე დღეს კი კორტზე ერთმანეთი დავკალით და მესამე სეტის ტაი-ბრეიკამდე ვითამაშეთ. ასეა მოიასთან, ფერეროსთან, მანტილასთან თამაშის დროსაც. ჩვენ ხომ ადამიანები ვართ და არა მანქანები.

**— 1998-ში მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიგეთ და ჩოგბურთის ყველაზე პატიოსანი მოთამაშის პრიზიც. ასეთ ეგოისტურ სპორტში ამის გაკეთება ძალიან ძნელი არ არის?**

— არ ვიცი, მე ასე იმიტომ ვიქცევი, რომ მართლაც ასეთი ვარ. იმ პრიზის მიღება ჩემთვის დიდი პატივი იყო, რადგან ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელის, სტეფან ედბერგის სახელობისაა. მშობლები ყოველთვის მასწავლიდნენ, რომ ზრდილობიანი ვყოფილიყავი და ჩოგბურთზე წინ ადამიანობა დამეყენებინა. ძალიან გამიხარდა, როდესაც პატიოსნებისთვის დამაჯილდოვეს, ვფიქრობ, არ შევცვლილვარ იმის გამო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგე და რაიმეს მივაღწიე ცხოვრებაში.

**— აქ რაღაც გაუგებრობაა. ფილიპ დევულფთან თამაშში თქვენ მას ქულა დაუთმეთ, რომელიც მსაჯმა შეცდომით მოგაკუთვნათ, მაგრამ ამავე დროს ამბობთ, რომ თქვენი კერპი ივან ლენდლია. ლენდლი ასეთ რამეს არასოდეს იზამდა.**

— ძალიან მომწონდა ლენდლის თამაში, მომწონდა უკანა ხაზიდან მისი დარტყმები, სერიოზულობა და პროფესიონალიზმი. ვოცნებობ, რომ მას დავემსგავსო, თუმცა ეს შეუძლებელია.

**— როგორც ამბობენ, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ხართ.**

— ესპანეთში ყველა ასეთია, გვიყვარს ფეხბურთის თამაში და ყურება. ჩემი საყვარელი გუნდი ბარსელონაა და მისი კლუბის წევრიც ვარ.

**— განსაკუთრებული საჩოგბურთო ოცნება თუ გაქვთ?**

— იმას, რაზეც ვოცნებობდი, უკვე მივაღწიე. როდესაც პატარა ვიყავი, მინდოდა, საუკეთესოთა ათეულში შემეღწია, დიდი ტურნირები მომეგო, რაც უკვე გავაკეთე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თამაშის სურვილი გამიქრა. ჩოგბურთი, როგორც უკვე ვთქვი, ნარკოტიკივითაა, მაგრამ ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს.

**— რაიმე საჩოგბურთო კოშმარი თუ გაწუხებთ?**

— კოშმარია, როდესაც კორტზე თავადაც არ იცი, რა გააკეთო, დაღლილი ხარ და არაფერი გამოგდის. მაგალითად, როგორც ჰიუიტთან წავაგე მელბურნში (0:6, 0:6, 1:6). კოშმარის შემდეგ შეიძლება თავი დამცირებულადაც იგრძნო, მწარედ წააგო, მაგრამ ცუდი არაფერი ხდება. გავა ორი დღე, ორი საათი და ყველაფერი მოწესრიგდება. შინ დავბრუნდი და არაფერი შეცვლილა, მშობლები, გელფრენდი დამხვდნენ. სასიამოვნოა, როდესაც მოიგებ, მათ დაურეკავ და ეტყვი, რა ბედნიერი ხარ, მაგრამ თუ მწარედ დამარცხდები, მერე რა? თავს ხომ არ მოიკლავ.

**თარგმნა ავთანდილ სვანიძემ**

ველორბოლა

# მეშვიდეს მეშვიდე

მილანი — სან რემოს მოგებიდან ოთხი დღის შემდეგ, გერმანელმა ერიკ ზაბელმა „კატალონიის კვირეულის" მესამე ეტაპზე გაიმარჯვა. ეს მისი მეშვიდე წარმატებაა ამ სეზონში.

რამდენიმე წლის წინ, თითქმის ყველას წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, რომ ზაბელი ისეთ რბოლას მოიგებდა, სადაც პირველი კატეგორიის სიძნელის ორი მთა იქნებოდა გადასალახავი, თუმცა, ამჯერად, სწორედ ასე მოხდა. ტელეკომელმა სპრინტში იმარჯვა, საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი ესპანელმა ხავიერ პასკუალ როდრიგესმა შეინარჩუნა.

27 წლის ზაბელი, რომელიც ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კლასიფიკაციაში მეშვიდე ადგილამდე ალზევდა, ისეთ კარგ ფორმაშია, ფლანდრიის ტურისა და პარიზ — რუბეს მთავარ ფავორიტადაც ითვლება. თუ პროგნოზები გაამართლა და მსოფლიოს თასის ამ ორი ეტაპიდან ერთ-ერთი მაინც მოიგო, მაშინ, ალბათ, საბოლოო ჩათვლაშიც მიაღწევს პირველობას, თუმცა ზაბელისთვის მთავარი „ტურ დე ფრანსის" ერთი ეტაპის მაინც და სიდნეის ოლიმპიადის ოქროს მედლის მოგებაა.



ერიკ ზაბელი

კასტელო დამპურიესი — ვიჩის ეტაპი, ტურნირში ყველაზე რთული იყო. 171-კილომეტრიან გზაზე მრბოლებს ორი პირველი კატეგორიის და ერთიც მეორე კატეგორიის სიძნელის მთები ელოდათ. ეტაპი როდრიგესის გუნდის „კელმეს" კონტროლით წარიმართა. კელმელებმა ტურნირის არც ერთ ფავორიტს არ მისცეს შეტევის საშუალება.

მრბოლებს მხოლოდ თორმეტიოდე კილომეტრი ჰქონდათ გავლილი, როცა პელოტონს რვაკაციანი ჯგუფი გამოეყო, მოწინავეებში პირველი ეტაპის გამარჯვებული ვენესუელელი უნაი ეჩებერიაც იყო. 56-ე კილომეტრზე ლტოლვილთა უპირატესობამ 5 წუთსა და 17 წამს მიაღწია, მაგრამ ეს იყო და ეს. ამის მერე მათ დაღლა შეეტყოთ და პელოტონმაც ერთიმეორეს მიყოლებით ჩაყლაპა ისინი. ბოლოს თეთრი ბაირაღი კი რუსმა რუსლან ივანოვმა გამოფინა, ვისაც ფინიშამდე 20 კილომეტრით ადრე ორისტას მთასთან დაეწივნენ.

ორისტადან დაშვებისას ფრანგმა ლორან ჟალაბერმა აუჩქარა, მაგრამ მისი შეტევა როდრიგესმა გააუვნებლა. ვიჩის ქუჩებშიც ორმოცდაათიოდე მრბოლი ერთდროულად შევიდა. აქ კი „ტელეკომის" წევრებმა ზაბელი ისე კარგად გამოაქანეს, რომ გერმანელმა მთელი ორი კორპუსით გაუსწრო დანარჩენ სპრინტერებს.

**გაგი გურული**

**კატალონიის კვირეული**

მესამე ეტაპი. კასტელო დამპურიესი — ვიჩი, 171 კმ

1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) — 4 სთ 20 წთ 49 წმ
2. მანუელ გინესი (ესპანეთი, მაპეი)
3. რუჯერო მარძოლი (იტალია, კანტინა ტოლო)
4. ბეატ ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი)
5. ჯუზეპე დი გრანდე (იტალია, ფესტინა) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ხავიერ პასკუალ როდრიგესი (ესპანეთი, კელმე) — 11 სთ 50 წთ 08 წმ
2. სანტიაგო ბლანკო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +4 წმ
3. ჯუზეპე დი გრანდე
4. გაბრიელე კოლომბო (იტალია, კანტინა ტოლო)
5. აქსელ მერქსი (ბელგია, მაპეი) — იგივე დრო

# მეკობრე მიდის და მოვა



მარკო პანტანი

უსიამოვნებები შარშან დაიწყო. იტალიელი მარკო პანტანი, ვისაც ქომაგებმა ეფექტური მეტსახელი „მეკობრე" უწოდეს, შარშანდელ „ჯირო დე იტალიაზე" საბოლოო გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ დოპინგის ხმარებაში ამხილეს და დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მერე ველომრბოლი თავისი ავტომანქანით რაღაცას დაეჯახა და ცოტა ხანს იქ მიღებულ ტრავმებს იშუშებდა. წლეულს ენთუზიაზმით შეუდგა ასპარეზობას, მაგრამ „ვალენსიის ტურის" სამი ეტაპი მეტად უხეიროდ რომ დაფარა, შეჯიბრი სულ მიატოვა და არც „მურსიის ტურზე" გამოსულა, როგორც თავიდან ჰქონდა ჩაფიქრებული. ახლა კი პანტანის ღია წერილიც იხილეთ, რომელიც დაგვირგვინებს გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ „მეკობრის" თავს რაღაც ხდება. „ველოსპორტს დროებით უნდა გამოვეთხოვო" — წერს ნაღვლიანად პანტანი — „იგი მთელი ჩემი ცხოვრებაა, მაგრამ ამ მომენტისთვის ფიზიკურად ფორმაშიც რომ ვიყო, ცხოვრებაში რთული პერიოდი მიდგას, პირადი პრობლემები მაწუხებს, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ მე შემიძლია. ამიტომ დროებით მივდივარ". ის, თუ რა პირად პრობლემაზეა ლაპარაკი, პანტანის და შესაბამისად საინფორმაციო სააგენტოებს არ დაუკონკრეტებიათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პურის ფულის უქონლობა არ იქნება.

პანტანი გამოტოვებს წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტურნირს „ჯირო დე იტალიას", რომელიც 13 მაისს ვატიკანის წმინდა პეტრეს მოედანზე საზეიმო ვითარებაში დაიწყება და 20 დღეს გასტანს. ველოსპორტიდან საერთოდ წასვლას პანტანი არ აპირებს. მის ემოციურ წერილში ამგვარი სტრიქონის წაკითხვაც შეიძლება: „ჩემი დროებითი უკან დახევა ყველაფრის თავიდან დაწყებას მოასწავებს. მე დავბრუნდები, ოღონდ ამჯერად მარჯვენა ფეხით..." ვნახოთ, ის დროც მოვა.

**დავით გულუა**

## კორაჩის თასი

**ფინალი. პირველი მატჩი. 22 მარტი**

**ლიმოჟი (საფრანგეთი) — უნიკახა (ესპანეთი) 80:58**

ლიმოჟი: ბონატო (14), ბრაუნი (31), დიუმა (8), ფრიგუ, ჰემი (2), მეტელი (9), ვეისი (6), ვილიამსი (10)

უნიკახა: ფერნანდესი (10), ჟომინი (8), კორალი, მარკაჩინი (3), მრშიჩი (11), კონსეისაო (4), ორენგა (16), პეტრუშკა (4), სალიერი (2)

# უნიკახას მოუგეს და მწვრთნელი დაუპატიმრეს

„ამ საღამოს გამარჯვება მშვენიერი დაცვის წყალობით მოვიპოვეთ. ყველამ ძალიან კარგად ვითამაშეთ. თუმცა, ეს მაინც არ იყო სეზონის საუკეთესო მატჩი. საუკეთესო 29 მარტს მალაგაში იქნება" — თქვა „ლიმოჟის" გამთამაშებელმა ბრუნო ჰემმა კორაჩის თასის ფინალის პირველ მატჩში ესპანური „უნიკახას" დამარცხების შემდეგ.

ამ წარმატების მთავარი შემოქმედი კი „დეტროიტ პისტონსის" ყოფილი კალათბურთელი მარკუს ბრაუნი იყო, ვინც მეტოქის დაცვა ნაცარტუტად აქცია. შესვენების წინ კაცი იფიქრებდა, ბრაუნი დაიღალა და მეორე ტაიმში მაინც მოასვენებს ესპანელებსო, მაგრამ ასე არ მოხდა. მეორე ოცწუთეულში ამერიკელმა 17 ქულას კიდევ 14 მიამატა და მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა. ვერც ფერნანდესმა და მრშიჩმა მოახერხეს მისი გაუვნებლება. როცა ბრაუნს საშუალო დისტანციებიდან სროლის საშუალება არ ჰქონდა, იგი სამქულიანის ხაზის გარედან უტევდა მეტოქის ფარს და ამასაც მშვენივრად აკეთებდა. 6 ცდიდან მან 5 სამქულიანი ჩააგდო. მატჩის ბოლოს კი „ბობლანის" დარბაზში შეკრებილი 6500 მაყურებელი მშვენიერი, მეჯიქ ჯონსონისეული პასითაც ალაფრთოვანა.

„უნიკახას" მწვრთნელ ბოჟიდარ მალკოვიჩს საფრანგეთში მოუთმენლად ელოდნენ. იგი 1992-95 წლებში „ლიმოჟს" წვრთნიდა, ამ გუნდის ქომაგების დიდი სიყვარულიც დაიმსახურა და ისინიც ოვაციებით შეეგებნენ. ლიმოჟელ სამართალდამცავებს კი... თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ.

მაყურებელთა შეხვედრით ტკბობა მალკოვიჩს დიდხანს არ დასცალდა. გუნდმა შეხვედრა დინჯად დაიწყო, შეტევისთვის განკუთვნილ 30 წამს მალაგელები ბოლომდე იყენებდნენ და ბოლოს ორენგას ანდობდნენ იერიშის დაგვირგვინებას. მანაც საწყისი 12 ქულიდან 10 თავის ანგარიშზე ჩაიწერა. ლიმოჟელთაგან ბრაუნს თავიდან ბონატომ და ვეისმა აუბეს მხარი და მეტოქეს დაწინაურების საშუალება არ მისცეს — 10:10 მე-5 წუთზე. კიდევ რამდენიმე წუთი თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მე-13 წუთზე ბონატომ ზედიზედ ხუთი ქულა შესძინა თავისიანებს და „ლიმოჟი" პირველად დააწინაურა ექვსი ქულით (24:18).

ამის მერე „ლიმოჟი" ფარქვეშაც გაბატონდა, დაცვაშიც უშეცდომოდ ათამაშდა და ნელ-ნელა უპირატესობასაც ზრდიდა. ტაიმის დასასრული მალაგელთათვის ნაღდი კოშმარი იყო. მათ კალათში ბურთები ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდა და შესვენებაზე მასპინძლები 14-ქულიანი უპირატესობით (43:29) გავიდნენ.

გასახდელებიდან დაბრუნების შემდეგ ესპანელები გაცილებით მობილიზებულნი ჩანდნენ და მეტოქესაც უფრო მეტი თავდადებით ეკვეთნენ. ორწუთიანი მონაკვეთი მათ 9:0 მოიგეს და ანგარიშში სხვაობა 6 ქულამდე შეამცირეს (53:47). ამ დროს ბრაუნმაც გამოიღვიძა და ზედიზედ 11 ქულა აართვა მოწინააღმდეგეს. ამის მერე ფრანგთა შეჩერება წარმოუდგენელი იყო და ისინიც ნელ-ნელა ზრდიდნენ უპირატესობას. საბოლოოდ 80:58.

„ჯერ კიდევ არაფერია გარკვეული. მალაგაშიც ასევე ძლიერად უნდა ვითამაშოთ, კორაჩის თასის მოგება თუ გვსურს" — განაცხადა მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა დუშკო ივანოვიჩმა.

„პირველ ტაიმში ათი ბურთი დავკარგეთ. ფინალში ასე სუსტად თამაში, მით უმეტეს, „ლიმოჟის" ტიპის გუნდთან, დაუშვებელია. საპასუხო შეხვედრა მეტად რთული იქნება" — ამის თქმაღა მოასწრო ბოჟიდარ მალკოვიჩმა და იგი პირდაპირ „ბობლანიდან" გააქანეს პოლიციაში. „ლიმოჟი" ახლა ფინანსურ კრიზისს განიცდის და ფრანგმა სამართალდამცავებმა კლუბის ყოფილ ხელმძღვანელობას ბევრი დანაშაული აღმოუჩინეს. მალკოვიჩთან კი შემდეგი პრეტენზია აქვთ — ხელფასი შვეიცარიის ერთ-ერთი ბანკის ანგარიშზე რატომ გერიცხებოდა შვეიცარული კომპანია „ფინკოჟესტის" გავლითო. თუმცა სერბი აცხადებს, რომ არანაირ ფინანსურ მაქინაციებში არ მიუღია მონაწილეობა და არალეგალურად ფრანკიც კი არ გამოუმუშავებია, მაგრამ ამის მიუხედავად, რამდენიმე დღით მაინც მოუწევს საფრანგეთში დარჩენა.

**გაიოზ თალაკვაძე**



ლიმოჟი — უნიკახა 80:58. ლიმოჟელი მარკუს ბრაუნი (№5) ხუან ანტონიო ორენგამ (№7) და ველკო მრშიჩმა (მარჯვნიდან პირველი) ვერ შეაჩერეს

## ევროლიგა

**მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. 23 მარტი**

| | |
|---|---|
| **ბარსელონა** | **1** |
| **ოლიმპია** | **1** |

ოლიმპია 71:64 ბარსელონა

| | |
|---|---|
| **ეფესი** | **1** |
| **ვილერბანი** | **1** |

ვილერბანი 77:60 ეფესი

| | |
|---|---|
| ***პანათინაიკოსი*** | **2** |
| **ციბონა** | **0** |

ციბონა 63:69 პანათინაიკოსი

| | |
|---|---|
| **მაკაბი** | **1** |
| **ფორტიტუდო** | **1** |

ფორტიტუდო 73:80 მაკაბი

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ „ოთხთა ფინალში"*

*გადამწყვეტი მატჩი გაიმართება 30 მარტს*

# ბასკომ მეორე რუსი აიყვანა

ჩემპიონატი

ეროვნული თამაშებს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი ბათუმის „ბასკო" ნამატით შეხვდება. ანდრეი ბელიაევზე გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ, იგი უკვე ბათუმშია, „ბასკოსთან" ერთად ვარჯიშობს და ზღვისპირელთა პირველივე შეხვედრაში ითამაშებს.

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ „ბასკოს" ღირსებას კიდევ ერთი რუსი ლეგიონერი დაიცავს. ანტონ არხიპოვი ბელიაევის თანაგუნდელი გახლდათ რუსეთის სუპერლიგის „ხიმკიში". ახლ-რეისი არ იყოს, ბოლოს ხანს არხიპოვიც უგუნდოდ იყო, რითაც „ბასკოს" ხელმძღვანელობამ ისარგებლა და მასთან მოლაპარაკება გამართა.

„ბასკოს" ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ემირიძე ამას წინათ რუსეთში იმყოფებოდა საქმიანი ვიზიტით. ბელიაევსა და არხიპოვს სწორედ იქ შეხვდა, მერე საქმეშიც უნახავს ბიჭები, მოსწონებია და მათი „ბასკოში" ხილვის სურვილიც გაჩენია.

ზღვისპირელთა მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ბელიაევით დიდად კმაყოფილი დარჩა, არხიპოვს კი პირველად შაბათს შეხვდება. სწორედ ამ დღეს ჩამოდის „ბასკო" დედაქალაქში. ანტონ არხიპოვიც თავის ახალ გუნდს თბილისში დახვდება.

როგორც ტომარაძემ გვამცნო, არხიპოვი 1980 წელსაა დაბადებული, მისი სიმაღლე 205 სანტიმეტრია. ნომინალური ცენტრი არ გახლავთ, თუმცა ჩვენს პირობებში ამ ამპლუაში თამაშსაც შეძლებსო, დარწმუნებულია მწვრთნელი: „არხიპოვს რუსეთის საკალათბურთო წრეებში კარგად იცნობენ, სერიოზულ ხალხს ვესაუბრე მის შესახებ და ყველამ მიქო, კარგი ბიჭიაო, ამბობენ. „ხიმკის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწეს, სერგეი სელივანოვსაც დავუკავშირდით, არხიპოვზე მისი აზრი გვაინტერესებდა, ძალიან კარგად დაახასიათა" — დასძინა ტომარაძემ.

ჩათვალეთ, რომ არხიპოვი უკვე ბასკოელია. ამას წინ ვეღარაფერი დაუდგება. ფედერაციაში უკვე ჩამოვიდა საგანგებო ფურცელი, რაც არხიპოვის ყოფილი გუნდისგან განთავისუფლებას იუწყება. ყოველივე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დუდუ დადიანმაც დაგვიდასტურა. საქართველოს ჩემპიონატში სამონაწილეო ლიცენზიაც უპრობლემოდ გაიცემა არხიპოვის სახელზეო — გვითხრა დადიანმა.

**გიორგი გიქაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

# ტრავმების ქარიშხალმა საბონისი და კიდი წააქცია

22 მარტი

**პორტლენდი 95:104 დეტროიტი**

პორტლენდი: ვოლესი (20), სმიტი (20)

დეტროიტი: ჰილი (24), სტეკჰაუზი (23)

**ლეიკერსი 119:96 გოლდენ სტეიტი**

ლეიკერსი: ონილი (22), ბრაიანტი (18), რაისი (17)

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (26), კეფი (17 ქულა, 14 მოხსნა)

**სან ანტონიო 103:78 კლიპერსი**

სან ანტონიო: დანკანი (30 ქულა, 11 მოხსნა), უოლკერი (18 ქულა, 12 მოხსნა)

კლიპერსი: ანდერსონი (17)

**ფინიქსი 114:93 საკრამენტო**

ფინიქსი: რობინსონი (26), როჯერსი (18)

საკრამენტო: ვებერი (16)

**ბოსტონი 106:109 მინესოტა**

ბოსტონი: პირსი (25), უოლკერი (22), პოტაპენკო (18)

მინესოტა: გარნეტი (40), სილი (24)

**ფილადელფია 106:93 ტორონტო**

ფილადელფია: აივერსონი (44), ჰილი (20 ქულა, 12 მოხსნა)

ტორონტო: კარტერი (26), მაკგრეიდი (20)

**შარლოტი 119:103 ნიუ ჯერსი**

შარლოტი: ჯონსი (26), კოულმენი (22), ველსი (22)

ნიუ ჯერსი: მარბერი (23), ვან ჰორნი (17), გილი (17)

**ნიუ იორკი 78:67 ჩიკაგო**

ნიუ იორკი: სპრიუელი (21)

ჩიკაგო: ბრენდი (22 ქულა, 13 მოხსნა)

**ორლანდო 103:90 ატლანტა**

ორლანდო: არმსტრონგი (27 ქულა, 10 პასი)

ატლანტა: რაიტი (18), კროუფორდი (18), გლოვერი (18)

ერთი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც „დეტროიტმა" ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლი" დაამარცხა მისსავე მოედანზე და ამას კიდევ ერთი სასახელო გამარჯვება მიაყოლა — „პორტლენდი" მოინელა პორტლენდში. ისევე როგორც „სიეტლთან" შეხვედრაში, აქაც მთავარ მოქმედ პირად გრანტ ჰილი მოგვევლინა. მართალია, ჰილმა ცხრა ქულით ნაკლები ჩაუდო „ბლეიზერსს", ვიდრე „სონიქსს", მაგრამ თავისი მონაგრიდან 14 ქულა ბოლო მეოთხედში მიითვალა. ეს შეხვედრა წინა დღით გამართულის თითქმის ანალოგიური გამოდგა. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ, ამიტომ ყურადღება მოადუნეს და „დეტროიტის" ლიდერმა კიდეც დასაჯა ისინი ბოლო მეოთხედში. ჰილს პიპენი მეურვეობდა, 90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი დამცველი და პერსონალური მეურვე. მხცოვანმა პიპენმა თავიდან გაართვა საქმეს თავი — თამაშში სულ 12 ქულა გააკეთა, მაგრამ არც ჰილის მისცა ბევრის დაგროვების საშუალება. სანამ ბოლო მეოთხედი დაიწყებოდა, დეტროიტელს სულ ათი ქულა ჰქონდა ანგარიშზე. აქ კი აფეთქდა ლიგის უძლიერესი ფრთა. მან ჯერ ექვსი მეტრიდან ჩააგდო, შემდეგ დრიბლინგით გასცდა პიპენს და „დეტროიტის" 84:83 დაწინაურება ჩატენვით აღნიშნა. „პორტლენდს" გაუჭირდა გონს მოსვლა. პირველ ნახევარში თხუთმეტი ქულის სხვაობით იგებდა და ახლა ხელში შემოეფანტა ეს სხვაობა. „პორტლენდის" ბოლო გაბრძოლება პიპენის სამქულიანი იყო. მასპინძლები ორი ქულით დაუახლოვდნენ წინ გასულ სტუმრებს — 92:90, მაგრამ ამას „პისტონზმა" ერთბაშად ათი ქულით უპასუხა. კვლავ ჰილმა ივარგა ფარქვეშიდან, შემდეგ ცენტრ ტერი მილზს სამიანი ჩააგდებინა, რასაც ჯერი სტეკჰაუზმა ხუთი ქულა მიაყოლა. „პორტლენდი" საბოლოოდ გატყდა და დარჩენილი სამი წუთიც ფორმალობად იქცა. ამ წაგებამ სერიოზულად ჩააფიქრა წაგებულთა დამრიგებელი მაიკ დანლივი. „ჩვენ გვყავს რამდენიმე კარგი ბიჭი და ბევრ თამაშსაც ვიგებთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იდეალური გუნდი ვართ. ხარვეზები უამრავი გვაქვს ორივე ფართან და ეს კიდევ ერთხელ ცხადყო ამ თამაშმა — დანლივი თავს არ იტყუებს და გუნდში არსებულ პრობლემაზე გულახდილად საუბრობს — თუ ჩვენ მართლა გვინდა სერიოზულ მიზანს მივაღწიოთ, ასეთ თამაშებს არ უნდა ვაგებდეთ. ბიჭებს არ აკლიათ მონდომება, ისინი ფსიქოლოგიურად კარგად გრძნობენ თავს, მაგრამ ამ მხრივ კიდევ სერიოზული მომზადებაა საჭირო. გარდა ამისა, დიდად ვწუხვარ, რომ არვიდასმა ტრავმა მიიღო. მისი არყოფნა ჩვენს გუნდს მაშინვე დაეტყო. იგი დიდი ცენტრია და შეუცვლელი მოთამაშეა ჩვენთვის". არვიდას საბონისმა მართლაც მიიღო ტრავმა, თან საკმაოდ სერიოზულადაც დაშავდა. ლიტველმა მესამე მეოთხედის მიწურულს მარჯვენა ტერფი ისე მაგრად იტკინა, რომ მოედნიდან მხოლოდ სხვისი დახმარებით შეძლო გასვლა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ თამაშს გამოატოვინებს ტრავმა საბონისს. ამ თამაშში კი ლიტველმა ნათამაშევ 22 წუთში 15 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი გააკეთა.

იმ დღეს მარტო არვიდას საბონისი არ დაშავებულა. 22 მარტს ნბა-ს ტრავმების ქარიშხალმა გადაუარა და რამდენიმე ცნობილ თუ უცნობ მოთამაშეს მიაყენა ზიანი. ამ მხრივ განსაკუთრებით „ფინიქს სანზი" დაზარალდა. ამ გუნდის ლიდერმა და ლიგის ერთ-ერთმა უძლიერესმა გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა პირველი ნახევრის ბოლო წუთებზე მარცხენა ქუსლის ძვალი გაიტეხა და რეგულარული ჩემპიონატის განმავლობაში გუნდს ვერაფრით დაეხმარება. საეჭვოა მისი პლეიოფში თამაშიც, რადგან გუშინ ოპერაცია გაიკეთა და ექიმები ფიქრობენ, რომ მაისამდე ვერ გამოჯანმრთელდება. მძიმე დღეში ჩავარდა გუნდი, რომელსაც ადრე მუხლმტკივანი ტომ გულიოტა დააკლდა. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც კიდი, ამერიკის ოლიმპიური ნაკრების წევრია, უფრო ზუსტად, იყო, რადგან ტრავმამ მის ოცნებებს, კარსმომდგარ ოლიმპიადაზე ამერიკის ღირსება დაეცვა, ცივი წყალი გადაასხა. „ფინიქსს" ორი კვირა სნაიპერი რექს ჩეპმენიც არ ეყოლება. გულიოტაც და ჩეპმენიც კარგი მოთამაშეები არიან, მაგრამ გუნდისთვის ყველაზე დიდი დანაკლისი მაინც ჯეისონ კიდია. დღესდღეობით ლიგის საუკეთესო მეპასემ ამ თამაშში ერთი ქულაც ვერ გააკეთა, სამაგიეროდ, კარგად ალაგებდა თავისიანთა შეტევებს და 7 პასიც მიითვალა. მისი არყოფნა დიდად დაეტყო „ფინიქსს", მაგრამ არიზონელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დროულად მოეგნენ გონს, ლიდერობა კლიფ რობინსონმა ითავა და მასპინძლებმაც იოლად დაამარცხეს „საკრამენტო". ამ თამაშში „ფინიქსმა" მაინც მოახერხა გამარჯვება, მაგრამ ასეთი დანაკარგებით დასავლეთში მეოთხე ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

**ირაკლი ფირაშვილი**

## საპორტას თასი

**ნახევარფინალი. პირველი მატჩები. 21-22 მარტი**

**ზადარი (ხორვატია) — აეკ (საბერძნეთი) 75:70**

ზადარი: ერცეგოვიჩი, კრუნიჩი (18), მალოჩა (3), პერინჩიჩი (3), რაჯა (22), ი. რუჟიჩი (15), ტ. რუჟიჩი (4), სტიუარტი (10)

აეკ: ბოუი (3), ხაცისი (10), ჰანსელი (2), კაკიუზისი (4), კორონიოსი (15), მიურსეპი (10), დიკუდისი (11), ოსალივანი (4), ცაკალიდისი (11)

**ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) — კინდერი (იტალია) 70:60**

ლიეტუვოს რიტასი: აიდიეტისი, ელიოტი (18), გედრაიტისი (11), იავტოკასი, კაზლაუსკასი (14), მასიაუსკასი (8), ოკუნსკი (9), შიშკაუსკასი (10)

კინდერი: აბიო (6), დ. ანდერსენი (6), მ. ანდერსენი (4), ბინელი, დანილოვიჩი (10), ეკონომუ (13), სკონოჩინი (7), შტომბერგასი (14)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 28 მარტს*

მძლეოსნობა

# ჰის შევჩივლოთ, ნებიოლო მკვდარია!

დიდია აწ განსვენებული პრიმო ნებიოლოს ღვაწლი მძლეოსნობაში. სახელოვანმა იტალიელმა რამდენიმე წლის თავაუღებელი შრომით, გონივრულად მიამყნო ერთმანეთს სპორტი და ფული და მძლეოსნობა აქცია იმგვარ სახეობად, რომელშიც სპორტსმენებს გარჯა ადრინდელზე ნაკლებად ეზარებათ, რადგან ბევრად მეტს შოულობენ. გარდაიცვალა ნებიოლო და ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, მისი მემკვიდრეები ვერ გაამართლებენ. დღეს, როცა სპორტის არაერთ სახეობაში განუწყვეტლივ იზრდება საპრიზო ფონდები და სპორტსმენებიც საარაკო თანხებს იხვეჭენ, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) დღევანდელ მამებს ამ სახეობის ყველაზე პოპულარული შეჯიბრის, „ოქროს ლიგის“ ჯეკ-პოტის განახევრება ჩაუფიქრებიათ. შარშან, როცა კაცებში უილსონ კიპკეტერმა და ქალებში გაბრიელა საბომ „ოქროს ლიგის“ შვიდ-შვიდი ეტაპი მოიგეს, მათ უშურველად გაიყვეს მილიონი დოლარი, ხოლო წლეულს, ჯეკპოტის მომგებმა მხოლოდ ამის ნახევარი უნდა მიიღოს — ამგვარი გახლავთ IAAF-ის მუშა ჯგუფის აზრი, რომელიც ფედერაციის უფროსობამ 2 ან 3 აპრილს პარიზის შეხვედრაზე უნდა განიხილოს. IAAF-ის მესვეურთა ახალი იდეა კოსმეტიკური თვალსაზრისით ურიგო როდია — ჯეკ-პოტის მომგები მძლეოსანი ფულის ნაცვლად თურმე 50 კილოგრამ ბაჯაღლოს მიიღებს და ზოგიერთ ქვეყანაზე დიდი ოქროს მარაგიც ექნება, ხოლო თავად ჯეკ-პოტის დასაუფლებლად არა შვიდივე, არამედ ექვსი ეტაპის მოგება გახდება საჭირო. თუმცა ეს მხოლოდ კოსმეტიკაა, თორემ მილიონი და იმის ნახევარი რომ სხვადასხვა რიცხვებია, ეს არავის ესწავლება.

აქვე წლევანდელი „ოქროს ლიგის“ შეჯიბრებათა განრიგს გაგაცნობთ.

**დავით გულუა**

### ოქროს ლიგა 2000

| | |
|---|---|
| 30 ივნისი | რომი |
| 7 ივლისი | პარიზი |
| 28 ივლისი | ოსლო |
| 11 აგვისტო | ციურიხი |
| 18 აგვისტო | მონაკო |
| 25 აგვისტო | ბრიუსელი |
| 1 სექტემბერი | ბერლინი |

IAAF GOLDEN LEAGUE

# ჯონსონმა სამასი გაიხსენა

**ამერიკელმა** მორბენალმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა მაიკლ ჯონსონმა სამხრეთ აფრიკის უდიდეს ქალაქში გუშინწინ ჟურნალისტებს განუცხადა, სამომავლო გეგმები შევიცვალეო. მან იოჰანესბურგში მიმდინარე პრესტიჟულ სამძლეოსნო ტურნირზე, 200 მეტრზე ყველა დროის ოდენ მეოთხე შედეგი უჩვენა და გადაწყვიტა, 300-მეტრიან დისტანციაზე მოსინჯოს ძალა, თანაც საკმაოდ მალე — პრეტორიაში დაგეგმილ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გრან პრის ტურნირზე.

300 მეტრი მძლეოსნობაში ერთობ უცხო ხილია, ამ დისტანციაზე იშვიათად თუ ვინმე დარბის და არც მსოფლიოს რეკორდის ავტორები ბრწყინავენ მაინცდამაინც. ამერიკელმა დენი ევერეტმა და კუბელმა რობერტო ერნანდესმა 1990 წლის სექტემბერში, ესპანეთის მავან სარბენ ბილიკზე ამ საქმეს 31,48 წამი მოანდომეს. ზიარი რეკორდის დამხობა, ჯონსონის აზრით, არცთუ ფანტასტიკური საქმეა, მიუხედავად იმისა, რომ 300-მეტრიან დისტანციას ფაქტობრივად არ იცნობს და მთელი სარბენი სტრატეგიის დაგეგმვა ნულიდან მოუწევს. შარშან რომ 400 მეტრზე მსოფლიოს რეკორდი დავამყარე, თქვა ჯონსონმა, ტრასის სამი მეოთხედი თურმე 31,66 წამში დამიფარავს და თანაც მაგ დროს ხომ სხვა სტრატეგია მქონდა აღებულიო. „300 მეტრზე სირბილის მთავარი სირთულე ისაა“ — აღნიშნა ჯონსონმა — „რომ საკუთარ შეცდომებზე ვერ ისწავლი, რადგან ამგვარი დისტანციები იშვიათია.



მაიკლ ჯონსონი: მე 300 მეტრსაც მოვიგებ!

თუნდაც მე, 300 ბოლოს 1994 წელს ვირბინე“. ჯონსონს უპირველესად მწვრთნელისგან რჩევების მიღება სჭირდება, მერე კი ნაყოფიერ ვარჯიშსაც შეუდგება.

**დავით გულუა**

ჰოკეი

# ბლუზი ქარიშხალში

NHL

22 მარტი

**კაროლინა — სენტ ლუისი 1:2**

0:0 1:1 0:1

1:0 ონეილი 22'02 (24); 1:1 რიზონერი 31'31 (9); 1:2 მაკინისი 57'47 (9)

**ატლანტა — მონრეალი 1:1**

1:0 0:1 0:0 0:0

1:0 ოდეტი 16'38 (15); 1:1 პეტროვი 21'50 (2)

**დეტროიტი — კალგარი 2:2**

1:0 0:1 1:1 0:0

1:0 ვერბიკი 4'42 (21); 1:1 შენონი 30'47 (6); 1:2 ვერენკა 51'35 (4); 2:2 ვერბიკი 54'38 (22)

**ტორონტო — აილენდერსი 2:5**

0:1 1:2 1:2

0:1 ლაპუანი 6'23 (14); 0:2 ჩერკავსკი 24'43 (27); 1:1 კარპოვცევი 25'52 (3); 1:3 ლაპუანი 33'09 (15); 1:4 ისბისტერი 45'38 (20); 2:4 ბერეზინი 49'38 (22); 2:5 ჩერკავსკი 59'12 (28)

**ედმონტონი — ანაჰაიმი 2:1**

1:1 1:0 0:0

1:0 პოტი 10'52 (8); 1:1 ჟორდი 15'23 (6); 2:1 უეიტი 37'01 (17)

**სან ხოსე — ვანკუვერი 4:3**

2:0 0:3 2:0

1:0 სუნდსტრიომი 8'38 (10); 2:0 მარლო 19'09 (16); 2:1 ბერონი 20'59 (2); 2:2 კლეტი 29'47 (9); 2:3 კუკი 33'30 (4); 3:3 დამფუსი 48'54 (18); 4:3 ფრიზენი 55'58 (25)

სავსებით შესაძლებელია, კაროლინას სწორედ სენტ ლუისთან შეხვედრაში დაკარგულმა ორმა ქულამ გადაუღობოს პლეი ოფისკენ მიმავალი გზა.

მას შემდეგ, რაც წინა დღეს, დამაჯერებლად მოუგეს აღმოსავლეთის ლიდერ ნიუ ჯერსის, კლუბის ქომაგები კვლავ წარმატებას ელოდნენ. მათი გუნდის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა მართლაც კარგად ითამაშეს, ანგარიშიც გახსნეს და თავიდან მეტოქეს გასაქანი არ მისცეს. მაგრამ „ბლუზმენებმა“ ჯერ გაათანაბრეს, ხოლო მატჩის მიწურულს, როცა ოვერტაიმი გარდაუვალი ჩანდა, რიცხვმრავლობა ჩინებულად გამოიყენეს — მაკინისის უძლიერესად დარტყმული შაიბის მოგერიება შეუძლებელი იყო. ამ მოგებით სანტ ლუისმა პრაქტიკულად გაინაღდა ჩემპიონატში პირველობისთვის განკუთვნილი „პრეზიდენტ ტროფი“.

ეს იმიტომ, რომ იმავე დღეს, „ბლუზმენთა“ მთავარმა კონკურენტმა დეტროიტმა ქულა დაკარგა და ამ გუნდებს შორის სხვაობა 6 ქულამდე გაიზარდა. თუმცა დეტროიტმა უფრო შეიძინა ქულა, ვიდრე დაკარგა, რადგან კალგარისთან, შეხვედრის დამთავრებამდე მხოლოდ ხუთი წუთით ადრე გაიტანა მეორე გოლი. ეს კი პეტ ვერბიკმა მოახერხა, რომელიც კლუბისთვის მართლაც ძვირფასი შენაძენი გახლავთ. იმ დღეს 35 წლის ვეტერანს თავის გამოჩენის საბაბიც ჰქონდა — ლიგის ყველა მოთამაშესთვის სანატრელ 500-შაიბიან ზღვრამდე ორი გოლიღა უკლდა. აქედან ერთი პირველ პერიოდში გაიტანა, მეორეშიც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ „ალების“ მეკარე ფრედ ბრეტუეიტმა მეტოქის დარტყმული სასწაულებრივად მოიგერია. დაუდგრომელი ვერბიკი ამან ვერ შეაჩერა და თავისი მაინც გაიტანა. „როცა პირველი შაიბა შევაგდე, აიზერმანმა მკითხა, კიდევ რამდენი დაგრჩაო. ვუპასუხე, ერთი-მეთქი. სტივმაც არ დააყოვნა და გამატანინა“ — გახარებულმა ვერბიკმა თავისი კაპიტნისა და მუდმივი პარტნიორის ამაგიც არ დაივიწყა.

კაროლინა — სენტ ლუისის შეხვედრის შედეგი რომ შეიტყო, ტორონტომ, რომელსაც „ქარიშხალთა“ წაგებამ პლეი ოფის საგზური ავტომატურად გაუნაღდა, შვებით ამოისუნთქა და... აუტსაიდერ აილენდერსთან ხელებაწეული დამარცხდა. ეტყობა, „ნეკერჩხლის ფოთლები“ უკვე მომდევნო სათასო ბატალიებზე ფიქრობენ.

მონრეალმა კი ოფლი ტყუილად ღვარა. კანადელებმა 49-ჯერ დაარტყეს, მაგრამ დამიენ როუდსს შაიბა მხოლოდ ერთხელ გამოატანინეს კარიდან. არადა, „ქარიშხლების“ გოლკიპერს ეს სეზონი, ფაქტობრივად, ჩაუვარდა. ჯერ კიდევ შარშან ოტავაში ძირითად მეკარედ მიჩნეული როუდსი ზაფხულში ლიგის ახალბედა ატლანტაში აღმოჩნდა, შემდეგ კი მძიმედ დაშავდა და მხოლოდ ახლახან გამოჯანმრთელდა.

დასავლეთის დივიზიონში კი ვითარება ლამის ყოველდღე იცვლება. ჯერ კიდევ ხუთი-ექვსი დღის წინ, საპლეიოფო ოქტეტში დამკვიდრებული ედმონტონისა და სან ხოსეს მდგომარეობა ძალიან მყარი ჩანდა, მაგრამ შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ოთხშაბათს ორივე გუნდს უცილობელი მოგება დასჭირდა. კონკურენტებთან ჭიდილში არც ერთს არ უნდა წაეგო და მათაც უდიდესი ნებისყოფა გამოავლინეს. ედმონტონმა უკვე მერამდენედ აჩვენა, რომ გადამწყვეტ დროს მობილიზება ძალუძს და ლიდერ დუგ უეიტის (1+1) თავგამოდებით უმძიმეს ბრძოლაში აჯობა ანაჰაიმს. თანაც, ბოლო პერიოდში მინიმალური უპირატესობა ისე შეინარჩუნა, რომ მეტოქეს ერთი სახიფათო მომენტიც კი არ შეაქმნევინა. უფრო დიდ ქებას იმსახურებს სან ხოსე. კარგი დებიუტის შემდეგ მასპინძლები ცუდად გაისარჯნენ, მეორე პერიოდში სამი შაიბა გაუშვეს და ლიდერი ოუენ ნოლანიც დაკარგეს, რომელმაც ტვინის შერყევა მიიღო. მაგრამ „ზვიგენებმა“ საბოლოოდ მაინც იძალეს, ჯეფ ფრეზენის გადამწყვეტი გოლი კი სეზონში მე-6 გამოდგა მისთვის.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ტორონტოდან

აილენდერსელებმა ტორონტოელთა მეკარე გლენ ჰალის ხუთჯერ გაუტანეს, აქედან ორჯერ მარიუშ ჩერკავსკიმ (13)

### სატურნირო ვითარება

| ალმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ნიუ ჯერსი* | 74 | 41 | 8 | 5 | 25 | 224:181 | 95 |
| *ტორონტო* | 73 | 40 | 7 | 3 | 26 | 222:197 | 90 |
| *ვაშინგტონი* | 73 | 39 | 11 | 1 | 23 | 199:172 | 90 |
| *ფილადელფია* | 73 | 39 | 12 | 2 | 22 | 212:162 | 92 |
| *ფლორიდა* | 73 | 38 | 5 | 5 | 30 | 216:188 | 86 |
| *ოტავა* | 72 | 36 | 11 | 2 | 25 | 215:184 | 85 |
| *პიტსბურგი* | 73 | 31 | 8 | 6 | 34 | 216:214 | 76 |
| *მონრეალი* | 74 | 31 | 9 | 3 | 34 | 173:174 | 74 |
| *ბუფალო* | 74 | 30 | 10 | 3 | 34 | 191:193 | 73 |
| *კაროლინა* | 74 | 31 | 10 | 0 | 33 | 197:201 | 72 |
| *რეინჯერსი* | 75 | 29 | 11 | 3 | 35 | 211:215 | 72 |
| *ბოსტონი* | 73 | 23 | 17 | 6 | 33 | 188:217 | 69 |
| *აილენდერსი* | 74 | 22 | 8 | 1 | 44 | 177:248 | 53 |
| *ტამპა* | 72 | 17 | 8 | 7 | 47 | 180:270 | 49 |
| *ატლანტა* | 72 | 13 | 7 | 4 | 52 | 149:272 | 37 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *სენტ ლუისი* | 73 | 47 | 9 | 0 | 17 | 223:145 | 103 |
| *დალასი* | 73 | 40 | 8 | 4 | 25 | 187:163 | 92 |
| *კოლორადო* | 74 | 34 | 11 | 1 | 29 | 209:188 | 80 |
| *დეტროიტი* | 74 | 43 | 9 | 2 | 22 | 242:190 | 97 |
| *ლოს ანჯელესი* | 73 | 34 | 9 | 4 | 30 | 222:211 | 81 |
| *ედმონტონი* | 74 | 28 | 16 | 8 | 30 | 203:191 | 80 |
| *ფინიქსი* | 72 | 35 | 7 | 2 | 30 | 209:200 | 79 |
| *სან ხოსე* | 74 | 31 | 9 | 7 | 34 | 207:199 | 78 |
| *ანაჰაიმი* | 75 | 31 | 12 | 2 | 32 | 198:203 | 76 |
| *ვანკუვერი* | 74 | 26 | 14 | 8 | 34 | 199:216 | 74 |
| *კალგარი* | 74 | 29 | 9 | 5 | 36 | 192:231 | 72 |
| *ჩიკაგო* | 73 | 29 | 8 | 2 | 36 | 219:225 | 68 |
| *ნეშვილი* | 74 | 26 | 7 | 7 | 41 | 185:215 | 66 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli